თკ 9026/2

ს. ფირცხალავა

ქართველთა წინაპრები
⸗
⸗ მათი მონათესავე ტოტები.

წინა აზიაში

40—6 ს. ს.

ქრის. წინ

(ოთხი ქარტით და ოთხი სურათით)

პ ა რ ი ზ ი

1947 წ.

გულითადს მადლობას ვუძღვნი ბ. კ. კობახიძეს, რომელმაც იკისრა ამ წიგნის გამოცემის მთელი ხარჯი. ვმადლობ ავრედვე ბ. ა. მეუნარგიას, ბეჭდვის ტექნიკურ ხელმძღვანელობისათვის და ბ. ზ. ჩიჩუას კორექტურაში დახმარებისათვის. მადლობა ჩემს მოწაფეს რამ. ნასშვილს წიგნის სათაურის და ჭარტეების გაკეთებისათვის.

ს. ფ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი *)

ბოდიშს ვიხდი, რომ მე ხელობით ჟურნალისტი - პუბლიცისტი ხელს ვკიდებ ისტორიულ თემას, მერე ისეთს რთულს, ჯერ კიდევ საკმაოდ არ გარკვეულს, როგორიცაა წინააზიის მოსახლეობა და ამასთან დაკავშირებით ქართველთა ნათესავის შორეული წარსული, რომელიც იწყება დაახლოვებით 60 - 70 საუკუნის წინად. ეს თემა დიდი სპეციალისტების, არქეოლოგების, ლინგვისტების, საზოგადო ისტორიკოსების საგანია, ღრმა და ფართო კვლევა - ძიების საარბიელია. აქ ჯერ მხოლოდ დასაწყისია მუშაობის. ზოგი რამ განათებულია უკვე, მაგრამ ბევრი ძალიან მკრთალად მოჩანს. არის ზოგადი ხაზები, უდავო გაკვლევები, მაგრამ არის კვანძები, რომლის გაუხსნელობა აბრკოლებს წინსვლას; არის პერსპექტივები უდიდესი მნიშვნელობის არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიისათვის, ხოლო ამაში იქა - აქ ჩარეულია ჰიპოტეზები.

მიუხედავად ამისა თუ ერთგვარი მოუკრძალებლობა გამოვიჩინე და მინდა გესაუბროთ ქართველთა წინაპრებსა და მათ მონათესავე ტომებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ საგანი უაღრესად საინტერესოა თავისთავად ყოველი ქართველისათვის, იმიტომ, რომ აქ უცხოეთში არ მოგვეპოვება სათანადო ქართული წიგნები, არც ვინ გვყავს მცოდნე სპეციალისტი, რომ გაგვაცნობიერის საუკეთესოდ, და ამისათვის ვბედავ, ცოტა რამ მაინც გითხრათ, გაგაცნოთ ბევრისათვის უცნობი. თუ ჩემი ნა-

---

*) ეს მოხსენება საჯაროდ იყო წაკითხული პარიზში 1946 წ. III/8.

თქვამი ზოგიერთისათვის საკმაო არ დარჩება, მას შეეძლება თავისი გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა სხვა წყაროებიდან დაიკმაყოფილოს.

რასაც ქვემოდ მოგახსენებთ, აქ ჩემი არაფერია, პირადად მე არა გამომძიებია და არა ალმომჩენია რა. ჩვენი დღევანდელი საკითხი დიდი ხანია მიზიდავდა და შეძლებისდაგვარ თვალყურს ვადევნებდი, რაც იწერებოდა.ხოლო ბოლო წლებში განსაკუთრებით დავინტერესდი უცხოელ მკვლევართა აზრით, და გავეცანი რამდენიმე სერიოზულს გამოკვლევას წინაზაზის უძველეს მოსახლეობის შესახებ. ჩემს მოხსენებაში მე გადმოგცემთ იმათ დაკვირვებას, აზრებს, დასკვნებს. ამას დავძენ, რომ მოხსენების წერის დროს მუდამ თვალწინ მედგა 11 წლის წინად გარდაცვლილი დიდი მეცნიერი ნ. მარი, რომელმაც პირველმა აიტანა ქართველი და მისი მონათესავე ერების ისტორია მსოფლიო მნიშვნელობის სიმაღლეზე.

ვიტყვი იმასაც, რომ ჩემი დღევანდელი საუბრისათვის წამახალისა შემდეგმა ფსიქოლოგიურმა გარემოებამაც: დღეს ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ კარგია, საჭიროა, ღრმად ჩავიხედოთ ჩვენს ეროვნულ ვინაობასა და რაობაში. ამან ეგებ გვაგრძნობინოს, რომ სოფელი წუთი არაა. ქართულ თქმაში „წუთი სოფელი“ დიდი ბრძნული დაკვირვების აზრია, თუ მხედველობაში მივიღებთ სივრცის და დროის უსაზღვროობას და დაუსრულებლობას. მართლაც, რა არის ჩვენი არსებობა და მთელი დედამიწისაც, თუ არა წუთი! მაგრამ ეს ფილოსოფიურად. პრაქტიკულად კი სოფელი წუთი არაა- ცხოვრება, ერის ნამეტურ, გრძელია, გრძელია არა მარტო ოდენ უკან, გარდასრულისკენ მიხედვით, არამედ წინ, მომავლისკენ გახედვითაც...

ქართველთა წინაპრები

და

მათი მონათესავე ტომები წინააზიაში

40—6 ს. ს. ქრ. წ.

(სუმერი - ელამი - ჰური მიტანი - ხეთა - ურარტუ - კასხი - მუსხი - ლიდია - ფრიგია)

იყო დრო და არც ისე შორსაა ეს დრო, როცა სწავლულები კაცობრიობის თავგადასავალს საბერძნეთის და რომის ისტორიით იწყებდენ. მერე ამას მიუმატეს ეგვიპტეს ამბები, შემდეგ კიდევ ირანის, ბაბილონის, ასურეთის. ისტორიულ სცენაზე სჩანდენ მხოლოდ სემიტები და ინდოევროპიელები და მთელი ცივილიზაცია ქვეყნიერებისა იხატებოდა როგორც მათი ნამოქმედარი და შექმნილი. მაგრამ დაახლოვებით 60 - 70 წ. წინად დაწყებულმა გათხრებმა წინააზიისა სხვა და სხვა ადგილებში, გათხრებმა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ 25 წ. განმავლობაში და რომლისთვის ერთმეორეს ეცილებოდენ ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, ამერიკელი და სხვა არქეოლოგები, — სულ ერთიან გადაატრიალა არსებული ისტორიული შემეცნება. გათხრებმა აღმოაჩინეს მთელი ქალაქები, ტაძრების და სასახლეების ნანგრევები, არხები, გზა - ტკეცილები, აღმოაჩინეს ვრცელი ბიბლიოთეკები, ნაწერები, რომლებიც შეიცავენ მრავალფეროვან ცხოვრების დარგებს, აღმოაჩინეს მთელი დიპლომატიური მიწერ - მოწერები სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის, კომერცი-

ული და საბანკო ანგარიშები, კერძო წერილები, სახელმძღვანელოები სკოლებისთვის, ლიტერატურული და მეცნიერული ნაწარმოები და სხვა და სხვა, — და გაკვირვებულ მკვლევართა წინაშე აღსდგნენ სრულიად უცნობი სახელმწიფოები, ერები, ენები, რომელთანაც— ზოგთან მაინც — თურმე მოსატანი არაა ბევრი მანამდე ცნობილი ხალხი და სახელმწიფო. ეს ახლად აღმოჩენილი ქვეყნები თურმე უდიდეს როლს თამაშობდენ ისტორიაში და მათ ამბებს მჭევრმეტყველურად მოგვითხრობენ მათი ნაშენების ნაშთები, სამკაულები, ჭურჭლები, იარაღები, და სხვა ნივთები და განსაკუთრებით კი უამრავი ტაბლეტები, რომლებიც მათვის ქაღალდის და წიგნის მაგიერი იყო. ეს ტაბლეტები კეთდებოდა სუფთა თიხისაგან, რომელსაც კარგად მოზელავდენ და მისცემდენ პატარა დაფის სახეს. ვიდრე რბილი იყო, დასწერდენ, რაც უნდოდათ და მერმე ან მზეზე გაახმობდენ, ან გამოწვავდენ ცეცხლში. ხშირად კონვერტშიც სდებდენ, რომ უკეთესად შენახულიყო. ტაბლეტი ქვაზე მაგარია და მისი წყალობითაა უმთავრესად, რომ შენახულ იქმნა უძველეს დროის ცივილიზაცია. გათხრები ჯერ მხოლოდ დაწყებულია. ერთი ამერიკელი მკვლევარი ამბობს, რომ მარტო ერთი პროცენტია გათხრილი და ამოჩენილი, რაც მიწაშია დამარხული, და რა უთვალავი მასალა გადაიშლება კაცობრიობის წინაშე, როცა გათხრები დასრულდება და მეცნიერებს ხელთ ექნებათ დღეს მიწაში დამალული დოკუმენტაცია! ისიც, რაც ამოღებულია და წაკითხული, ისეთს დეტალურ სურათებს იძლევა ყოველდღიურ ცხოვრებისას, რომ მსგავსი არაფერი მოიპოვება თვით ბერძნების და რომაელების შესახებ, რომელთაც მდიდარი ლიტერატურა დაგვიტოვეს. ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი **Contenau** ამბობს: ჩვენ საფრანგეთის საშუალო საუკუნოების გლეხების შესახებ უფრო ნაკლები ვიცით, ვიდრე მესოპოტამიის მიწის მუშის შესახებ ხუთი ათასი წლის წინადო.

ვინ არიან ეს ახლად მკვდრეთით აღმდგარი ხალხები

წინააზიისა, რომელთა სახელები ჯერ კიდევ სრული სიზუსტით არაა დადგენილი? ესენი არიან ელამი, სუმერი თუ შუმერი, ჰურრი თუ ხურრი თუ გურრი, მიტანი, ხეთი თუ ხათი, ურარტუ, კასხი, კასკი, მუსკი, თუ მუშკი თუ მოსხი, მეშეხი, ფრიგია, ლიდია, რომელნიც იყვნენ მთავარი მომქმედნი წინააზიის უძველეს წარსულში და რომელთა ცივილიზაცია დაედვა საფუძვლად მთელ მერმინდელ ცივილიზაციას მთელ წინააზიაში, მთელ მედიტერანეში, მთელ დასავლეთში. დასახელებული სახელმწიფოთა ხალხები არც ერთი არ ეკუთვნის არც სემიტებს, არც არიელებს (ინდოევროპიელებს). ყველა ერთი სხვა განსაკუთრებული ოჯახის წევრია.



ვიდრე მათ თავგადასავალს და შემოქმედებას შევეხებოდეთ, წინასწარ თვალი გადავავლოთ წინააზიის ზოგად გეოგრაფიულ მოხაზულობას. წინააზია ცოტა უსწორმასწორო ოთხკუთხედად რომ წარმოვიდგინოთ, მის ოთხსავე კუთხეში ვხედავთ ზღვებს: აი სამხრეთ - აღმოსავლეთით სპარსეთის ყურე, რომელიც შტოა ინდოეთის ოკეანის; ზევით ჩრდილო - აღმოსავლეთით კასპიის ან ჰირკანის ზღვა; ჩრდილო - დასავლეთით შავი ზღვა, რომელიც უერთდება ხმელთაშუა ზღვას, ეს უკანასკნელი

საზღვრავს წ. აზიის დასავლეთის ეგვიპტემდის, რომელიც ისტორიულად აგრე ვსთქვათ დამატებაა წ. აზიის. ქვევით კიდევ მეწამური ზღვაა, სპარსეთის ყურეს პარალელურად და ამასავით ინდოეთის ოკეანეს შტო. დავიმახსოვროთ ამასთან ორი დიდი ტბა ჩრდილო-აღმოსავლეთით ურმია და ვანი. მთავარი მდინარეებია ტიგრი და ეფრატი, რომლებიც ერთვიან სპარსეთის ყურეს, კერკა — შეერთვის იმავე სპარსეთის ყურეს ტიგრ-ეფრატის შესართავის ქვემოთ; არაქსი და მტკვარი—შედიან კასპიის ზღვაში, ჭოროხი და ღალისი—შედიან შავ ზღვაში, ორონტი—სირიაში და იორდანე—პალესტინაში. საერთოდ მდინარეთა რაოდენობა საკმაოა, ხოლო მათი ნაპირები მეტწილად კლდოვანია და ჩავარდნილი. ნიადაგი საზოგადოთ მთიანია ზეგანებით (პლატოებით), მხოლოდ ტიგრის და ეფრატის ნაპირები შუა ადგილიდან წარმოადგენენ სამხრეთისკენ ოდნავ დაქანებულს ველს. მთავარი მთებია: ტიგრის აღმოსავლეთით ზაგროსი, რომლის გადალმა გადაჭიმულია ირანის პლატო, ჩრდილოეთით სომხეთის მთები და ელბრუსი კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირის ახლო, მერმე კავკასიონის ქედი, დასავლეთით ტავრი და ანტიტავრი და ქვევით სირიაში ლიბანი და ანტილიბანი. სულ დაბლა წ. აზიას საზღვრავს ჯერ სირიის და შემდეგ არაბეთის უდაბურები.

უძველესი მოსახლეობა წ. აზიისა — არქეოლოგიურ-ისტორიულ მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით — იყვნენ სუმერელები და ელამელები. ზოგის აზრით ელამის ცივილიზაცია უფრო ადრინდელია სუმერისაზე. ხოლო რადგან სუმერის ისტორიული მნიშვნელობა გაცილებით აღემატება ელამისას, ამიტომ დავიწყოთ სუმერის ამბებით.

სუმერი მდებარეობდა სპარსეთის ყურესთან ტიგრის და ეფრატის ნაპირებზე, იმ ადგილამდე, სადაც ეს ორი მდინარე ძალიან უახლოვდება ერთ-მეორეს. ეს ტერიტორია დაახლოვებით ახლანდელი ბელგიის ოდენა იყო. ეხლა ტიგრი და ეფრატი ერთდებიან და ისე შედიან

ზღვაში. ასე არ იყო 6 - 7 ათასი წლის წინად ქრისტემდე. სპარსეთის ყურე გაცილებით შორს იყო გამოწეული ჩრდილოეთისკენ, დაახლოვებით 250 კილომეტრით აწინდელი შესართავიდან. ტიგრმა და ეფრატმა ადიდების დროს ჩამოტანილ ნალეკით თანდათან მოსილეს ზღვა. ჯერ გაჩნდა ჭაობები, და მერე მთლად გაშრა მიწა. რადგან ეს ნიადაგი მეტად ნაყოფიერი იყო, მას მოაწყდა აქეთ - იქიდან ხალხი. ჩრდილო მხარეს დასახლდნენ სემიტები და ამას ეწოდებოდა აკადი ან აგადე. სამხრეთი ნაწილი დაიკავეს სუმერელებმა. საიდან მოვიდნენ, არ იციან; ფიქრობენ, მთიან ადგილებიდან უნდა იყვნენ, რადგან მთიელთა ზოგი ჩვეულება ჰქონდათ შერჩენილი. სუმერი შესდგებოდა რამდენიმე სახელმწიფოსაგან — თითოეული შემოკრებული იყო დიდი ქალაქის გარშემო, როგორიც იყო ერიდუ, ურ, ურუკ, ლაგაშ და სხ. ქალაქები — სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხან ერთი იყო პირველი, ხან მეორე. სამი ათასი წლის წინად ქრისტემდე პირველობა ეკავა ლაგაშს, რომლის მეფემ ვანატუმ დაიმორჩილა მეზობელი სახელმწიფოები და სხვებსაც შეესია სუმერის გარედ. შემდეგ საუკუნეში აქ ვხედავთ მეფედ ურუკაგინას, რომელმაც სახელი გაითქვა თავის მეტად დემოკრატიული რეფორმებით და თავგასულ სამღვდელოების ალაგმვით. იგი დაამარცხა ქალაქ უმბას მეფემ ლუგალ - ზაგისიმ, რომელმაც გააერთიანა მთელი სუმერი, დაიპყრო სხვა მხარეებიც სპარსეთის ყურედან ხმელთაშუა ზღვამდე და შეჰქმნა პირველი იმპერია მესოპოტამიაში.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სუმერის ჩრდილოეთით ცხოვრობდენ აკადელები — სემიტები. მათთან სუმერელებს თავიდანვე შეტაკებები ჰქონდათ და რადგან აკადელები კულტურით დაბლა იყვნენ, სუმერელებს ისინი დამორჩილებული ყავდათ—პოლიტიკურად და კულტურულადაც. ხოლო აკადელები თანდათან მოლონიერდენ, თვით სუმერშიც ჩამოთესლდენ და მესამე ათასეულის შუაში აკადის მეფემ შარუკენმა (სარგონმა) დაიპ-

ყრო მთელი სუმერი. ეს აკადელების ბატონობა გაგრძელდა ორ საუკუნეს, რომლის შემდეგ სუმერელებმა ისევ აღადგინეს თავისი დამოუკიდებლობა. აღორძინებულ სუმერს ჯერ ხელმძღვანელობდა ქალაქი ურუკ, მეფე უტუ-ჰეგალის მეთაურობით და შემდეგ ხელმძღვანელობა აიღო ქალ. ურმა. ურის სიძლიერის დამაარსებელი იყო მეფე ურ-ნამუ თუ ურ-ენგურ. მან შეჰქმნა მაგარი ცენტრალიზური სახელმწიფო, კარგად გაწრთვნილი და მოწყობილი ადმინისტრაციით. იმპერიამ უმალლეს ხარისხს მიაღწია მისი შვილის დუნგის თუ შულგის დროს. ეს იყო ხანა დიდი ეკონომიური წარმატების და კულტურული აყვავების. მესამე ათასეული წლის ბოლოში, ბარბაროსული ტომები, რომელთაგან სუმერი ყოველთვის მხნედ იცავდა თავის ცივილიზაციას, უფრო და უფრო აძლიერებენ თავდასხმებს. აკადელებს ზევიდან (ჩრდილოეთიდან) დაერთვიან ახალი სემიტები, ამორეელები, ბაბილონის გარშემო. აკადელები და ამორეელები საბოლოოდ დაამხობენ სუმერს. მის სიმდიდრეს, მის ცივილიზაციას ,მის პანთეონს, ლიტერატურას, ხელოვნებას დაეპატრონება ახალი იმპერია ბაბილონეთისა, რომელსაც სახელი გაუთქვა პირველად მეფე ჰამურაბმა მეოცე საუკუნეში, რომლის საკანონმდებლო კოდექსი აღმოაჩინეს ამ საუკუნის დასაწყისში.

დასრულდა სუმერელების სახელმწიფოებრივი არსებობა, მაგრამ არ დასრულებულა მათი ცივილიზაცია. ისტორიისათვის ფასი არა აქვს ომებს და მათ მიერ გამოწვეულ ხოცვა-ჟლეტას და დანგრევებს, მოხდება ეს პირველყოფილი იარაღით თუ ატომური ყუმბარებით. მისთვის მარტო ისაა ძვირფასი, თუ ვინ რა შესძინა კაცობრიობის ცხოვრების გაუმჯობესობას და გალამაზებას. ისტორიკოსები სქემატიურად ასე აღნუსხავენ სუმერელების დამსახურებას: მათ პირველებმა შეჰქმნეს სახელმწიფო, გაიყვანეს სარწყავი არხები, შემოიღეს ოქროს და ვერცხლის ხმარება ღირებულობის საზომად, საგაჭრო ხელშეკრულებანი, სისტემა კრედიტისა, პირვე-

ლებმა შეჰქმნეს საკანონო კოდექსები, დამწერლობა, პირველებმა მოგვცეს ალწერა ქვეყნის შექმნის და წარლვნის, ბიბლიოთეკები, სკოლები, ლიტერატურა, ქანდაკებები, ბარელიეფები, სასახლეები, ტაძრები, თაღი, კამარა და გუმბათი და სხვა. თითეული აქ მოხსენებულ გამოგონება მთელი ეპოქაა ადამიანის წარმატების ისტორიაში.

სუმერული სახელმწიფო ცენტრალიზურია, კარგად გამართული ბიუროკრატიული აპარატით. მეფე ღვთაების წარმომადგენელია და უმაღლესი მღვდელმთავარი. ამ დროიდანაა მთელ ქვეყანაზე ყველა მეფის ტიტულში ხმარებული „ნებითა ღვთისათა". მეფეს ჰყავს გაწრთვნილი ჯარი და იმ დროისთვის საუკეთესოდ შეიარაღებული. მეომრებს აცვიათ მოკლე ტანსაცმელი მუხლებამდის და წამოსასხამი ჩვენებური ნაბადის მსგავსი. თავზე ხურავთ სპილენძის ჭუდი, რომელიც ჰფარავს კისერს და ყურსაც. სუმერის მეფეების ღირსებისათვის უნდა ითქვას, რომ მაშინ როდესაც ასურეთის მეფეები ტრაბახობენ თავიანთ ძეგლებზე: ამდენი და ამდენი ქალაქი დავანგრიე და დავწვი, ამდენი მტერი დავატყვევე, ამდენს თავები დავსჭერი, — სუმერის მეფეები თავიანთ დოკუმენტებში იმას ალნიშნავენ, რომ ავაშენე ტაძრები, გავიყვანე არხები, გამოვეცი კანონთა კოდექსი, დავამყარე წესი და სამართალი, ხალხს შევუმსუბუქე ტვირთი, მღვდლებს ავუკრძალე შეავიწროვონ ქვრივ-ობოლნი და მიცვალებულის წესის აგებისთვის გადასახადი ხუთჯერ შევამცირეთ და სხვა.

სუმერის მკვიდრნი დაყოფილი არიან შემდეგ კლასებად: თავში კეთილშობილთა წოდებაა — მოხელეები, სამღვდელოება და რეგულიარული არმიის ჯარისკაცები. მათ ქვევით არიან ვაჭრები, ხელოსნები, მასწავლებლები, მიწათმოქმედნი. უკანასკნელ საფეხურზე იდგნენ მონები. კეთილშობილთა სისხლი უფრო ძვირად ღირდა. მაგრამ თუ კეთილშობილი რასმე დააშავებდა, მას მეტი სასჯელი ედებოდა, ვიდრე მეორე წოდებისას. მონა

თუმცა პატრონის საკუთრებაა, მაგრამ მთლად უუფლებო არაა — შეუძლია მოწმედ გამოვიდეს, საკუთრება ჰქონდეს, ისესხოს, სავაჭრო ვალდებულობა იკისროს, თავისუფლება გამოიყიდოს. თუ თავისუფალი საყვარლად აიყვანდა მონას და შვილები ეყოლებოდა, მონას ველარ გაყიდდა უკვე და მისი სიკვდილის შემდეგ ქალიც და შვილებიც თავისუფალნი ხდებოდნენ. თუ თავისუფალი ქალი მონაზე გათხოვდებოდა (და ეს სრულებით სამარცხვინოდ არ ითვლებოდა), შვილები თავისუფლები იყვნენ.

სუმერში დამყარებული იყო ერთცოლიანობა. დაქორწინება ხდებოდა ხელშეკრულობის დადებით. ოჯახის საქმეებს ცოლ-ქმარი განაგებენ თანაბარი უფლებით. ცოლს შეუძლია საკუთარი მონები ჰყავდეს. ქალის მალალ მდგომარეობას არ ეგუებოდა მხოლოდ ის, რომ, ზოგიერთის შემთხვევაში, ქმარს შეეძლო ვალის გასასტუმრებლად ცოლის მონად გაყიდვა დროებით (სამ წლამდის).

ყველა აქტი საზოგადოებრივი ცხოვრებისა — ყიდვა გაყიდვა, დაქირავება, გაცვლა, ჩუქება, დაქორწინება, შვილობა, განქორწინება, ანდერძი და სხვა აუცილებლად წერილობით უნდა შესრულებულიყო, მხარეების და მოწმეების ხელისმოწერით (პირადი ბეჭდის დაკვრით). აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ინგლისში მხოლოდ მე-17 ს. ბოლოს იყო შემოღებული ყიდვა-გაყიდვის და მსგავსი აქტის წერილობით შესრულება. დავისა და საჩივრის განსახილველად დაინტერესებული მხარე ჯერ „მომრიგებელ მოხელეს" მიმართავდა და თუ უკანასკნელი ვერ მოაგვარებდა, საქმე გადადიოდა რეგულიარულ სასამართლოში, რომელიც შესდგებოდა 3-5 წევრისაგან. განაჩენი, რომელსაც წინ უძღოდა მოკლე პროტოკოლი, უნდა წერილობით ყოფილიყო და ის ინახებოდა არქივში. საქმის გასაჩივრება შეიძლებოდა უმაღლეს სამსაჯულოში.

ცხოვრების ქონებრივი წყარო იყო სოფლის მეურნე-

ობა და ხელოსნობა, ვაჭრობა. ყანები წესიერად ირწყებოდა მრავლად გაყვანილ არხებით, რომელთა სარგებლობა განწესებული იყო კანონით. პური და ქერი უხვად მოდიოდა. პური, ქერი, მრავალი ხეხილი სუმერიდან მერე სხვაგანაა გადასული. დიდი წილი მიწებისა მეფეს და ტაძრებს ეკუთვნოდა, იყო ცოტა საზოგადო მფლობელობა მთელი სოფლის, მაგრამ საერთოდ გავრცელებული იყო კერძო საკუთრება. მესაკუთრე თუ სესხს აიღებდა თავის მიწის დასამუშავებლად, მოსავლის მოწევამდე სესხს ვერ მოთხოვდნენ. თუ მოსავალი ცუდი იყო პატრონის უმიზეზოდ, სარგებელს არ იხდიდა. ხეხილიან ბაღის მჭირავებელი იხდიდა მოსავლის ორ მესამედს. თუ დაქირავებულ მიწაზე ვინმე თვითონ გააშენებდა ხეხილს, მხოლოდ მეხუთე წელს იხდიდა ქირას. მკაცრად აკრძალული იყო ნიადაგის დაუმუშავებლად დატოვება.

წარმოება ძველ დროში საერთოდ არ იყო განვითარებული — ყველა თვითონ იკმაყოფილებდა თავის საჭიროებას. მაგრამ სუმერში ხელოსნობა — სამკაულების, ჭურჭლების, იარაღების — საკმაოდ დაწინაურებული იყო. განსაკუთრებით ფართო ადგილი უკავა ქსოვილობას და ქარგვას, მაუდის მანუფაქტურას, რომელიც უმთავრესად ტაძრების ხელში იყო. ამისათვის მრავალი ქალი მუშაობდა ტაძრების ქარხნებში. ტაძრები საზოგადოდ ეკონომიური ცხოვრების დიდი ცენტრები იყვნენ — მათ ჰქონდათ მრავალი მიწა, ღებულობდნენ დიდს შემოწირულობას, აწარმოებდნენ გაცვლა-გამოცვლას და ვაჭრობას, ფულსაც იძლეოდნენ სესხად. ამიტომაც ტაძრებში მწერალთა მთელი კანცელარია არსებობდა, რომელიც ყველაფერს ანგარიშობდა, ჩასწერდა, ალაგებდა.

სუმერლებს ფართო ვაჭრობა ჰქონდათ მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. კარგად გამართულ გზებით, მდინარეებით, ზღვით გაჰქონდათ თავისი ნაწარმოები ინდოეთში, კაბადოკიაში, ეგვიპტეში, სირიაში, ელამში და სხვაგან. მათი სავაჭრო აგენტურები გაფანტული იყო შრავალგან. გარეედან შემოქონდა სუმერს ნედლი მა-

სალა თავის წარმოებისათვის: სპილენძი ომანიდან და კავკასიიდან, ვერცხლი კილიკიიდან და ელამიდან, ოქრო ელამიდან, სირიიდან და კაპადაკიიდან. უცხოეთში იძენდა აგრეთვე ქვას, ასფალტს, ხე - ტყეს.

სესხისათვის კანონით დაწესებული იყო სარგებელი ხორბალზე და საზოგადოთ მარცვლეულზე 33 1/3 პროცენტი, ხოლო ფულზე 20%.

სწავლა - განათლების ცენტრები იყო ტაძრები. იქ გამართულ სკოლებში პირველი ყურადღება მიქცეული ქონდა წერა - კითხვის შესწავლას, რომელიც არც ისე ადვილი იყო, ლურსმული წერის ნიშნების სიმრავლის გამო. წერა - კითხვის მცოდნეს დიდი ფასი ქონდა. ქალაქებში, ნამეტურ სავაჭრო ადგილებში, ქალაქის შესავალ კარებში მწერლები გამზადებულნი იყვნენ ახლად გაკეთებულ ტაბლეტებით, მსურველებისათვის საჭირო აქტის შესადგენად. (ქალაქის ან სასახლის კარი წარმოადგენდა საკმაოდ გრძელ და ფართო გალერეიას, ოთახებით, დარბაზით. ეს იყო მთავარი ადგილი შესახვედრად, სხვა და სხვა საქმის გასაკეთებლად, საჩივრების განსახილველად*). სკოლებში წერის გარდა ასწავლიდნენ გრამატიკას და არითმეტიკას. სუმერში თვლა ემყარებოდა 6 და 60 და ამის კვალი ჩვენამდის არის დარჩენილი: წელიწადის 12 თვედ და დღეღამის 12+12 საათად, საათის 60 წამად და წამის 60 წუთად დაყოფა. ასევე წრეს რომ 360 გრადუსად ვყოფთ, ესეც სუმერის ნაანდერძევია. სუმერელებს ქონდათ ციფრებისთვის განსაკუთრებული ნიშნები, რომელთა მნიშვნელობა იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რა ადგილი ეკავათ საერთო რიცხვში, როგორც ესაა, აგრეწოდებულ არაბულ ციფრებში. ასეთი იყო პირველდაწყებითი სწავლა. თუ ვინმე მეტს მოისურვებდა, უნდა შეესწავლა გეომეტრია, ალგებრა, ასტრონომია, მედიცინა. ყველა ამ

---

*) აქედან მოდის ქართული კარისკაცი, სამეფო კარი. კარის გარიგება: „ჭყონდიდელი ორშაბათს საადგო კარსა დადგების“...

ცოდნას სუმერელებმა დაუდვეს საფუძველი და მაგალ. მედიცინაში მათ უკვე იცოდნენ ზოგიერთი ტკივილის წამალი, რომელსაც დღეს ვხმარობთ. საგულისხმიერია სუმერის კანონმდებლობა ქირურგიული ოპერაციების შესახებ: თუ აქიმი ცუდად გააკეთებდა ოპერაციას და ავადმყოფს ვნებას მიაყენებდა, მძიმე სასჯელი მოელოდა.

სკოლების გარდა ტაძრებთან და სასახლეებში არსებობდა ბიბლიოთეკები.

ასეთს კულტურულ ხალხს, ცხადია, განვითარებული მწერლობა ჰქონდა. ორი ათასის წლის წინად ქრისტემდე, როცა აშკარა გახდა, რომ სუმერის ეროვნულ-პოლიტიკური არსებობა გათავებული იყო თუ თავდებოდა, სუმერელმა მწიგნობრებმა გამოიჩინეს არაჩვეულებრივი აქტივობა, თავი მოუყარეს და ჩასწერეს ყველა ისტორიული გადმოცემები, ფაქტები, ლეგენდები, პოეტური ნაწარმოებნი, ეპოსები, ლექსები, ლოცვები. სუმერელების რელიგიური ლიტერატურა თავის სიმარტივით და მრავალფეროვნებით არ ჩამოუვარდება არც ერთი ძველი დროის ლიტერატურას, ამბობს ჩიკაგოს უნივერს. პროფესორი **Chiera**. მათ ეკუთვნის პირველი ეპოსი კაცობრიობის ლიტერატურაში. ესაა გილგამეში, რომელიც უძველეს დროსვე იყო გადაღებული სხვა ენებზე (ბაბილონურზე,, ხეთურზე, ჰურულზე). სუმერის ლეგენდები ქვეყნის და ადამიანის შექმნის, წარღვნის და ნოეს კიდობნის, სამოთხე და ხე ცნობიერების, იობის ამბავი, ფსალმუნი, ყველამ იცის და ეს შეტანილია ბიბლიაში. სუმერელებისთვის უცხო არ იყო ფილოსოფია და მათთვის უკვე იდგა ის ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც შემდეგ იპყრობდენ ბერძენთა გონებას და იმავე **Chiera**-ს სიტყვით, როცა ტაბლეტების შინაარსი სავსებით გადაიშლება ჩვენს წინაშე, ჩვენ დავინახავთ ბევრს საკვირველებას— იმას, რომ ბერძნული ფილოსოფიის სათავე სუმერში იყო.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ბაბილონის მეფის ჰამურაბის კოდექსი. სუმერელებს ჰქონდათ არა ერთი და ორი კო-

დექსი, სამწუხაროდ ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ არსადაა აღმოჩენილი. ჰამურაბის კოდექსი ეს წმინდა სუმერული კანონების კრებულია, შეტანილია მცირეოდენი ცვლილება, მაგალითად ზოგიერთი დანაშაულისათვის უფრო მკაცრია სასჯელი, ვიდრე სუმერელებს ჰქონდათ და მაგალითად თუ გაპარული მონის დამალვისათვის ჰამურაბი სიკვდილით დასჯას აწესებს, სუმერის კანონით მხოლოდ ჯარიმა იყო დადგენილი.

სუმერულმა ხელოვნებამ ჯერ კიდევ მესამე ათასეულის წლებში ქრისტემდე მიაღწია ისეთს საფეხურს, რომელსაც იშვიათად თუ შეედრება სხვა რომელიმე ძველი ხელოვნება. ქანდაკება, ბარელიეფი სპილენძისაგან, კედლების მოხატულობა, ლითონის მოხერხებული მოხმარება მოსართავ-მოსაკაზმავად გაცილებით უსწრობს ეგვიპტურს. სუმერელი მხატვრის ხელი ისე დახელოვნებულია, როგორც ბერძნის. მას ახასიათებს ფერების საუცხოვო შერჩევა, სწორი მოხაზულობის გემოვნება, მასალის შეცნობა, სხვა და სხვა ნივთიერების საუკეთესოდ შეერთება, ჰარმონია. განსაკუთრებით ეხერხებოდათ სუმერელებს ცხოველების გამოქანდაკება, ცნობილია ვერცხლისაგან გამოქანდაკებული თავი ძროხისა, იშვიათის გამომეტყველობის.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა სუმერის სარწმუნოებისათვის. ეს სარწმუნოება პირველად წარმოადგენდა მთების, ტყეების, მდინარეების თაყვანისცემას. მერმე ცხოველები ხდებიან ღმერთებად, რომელთაც ხშირად ნახევარ ადამიანის და ნახევარ ცხოველის სახე აქვთ. ბოლოს ღმერთები ადამიანურ სახეებით გვევლინებიან. სუმერის პანთეონი ჯერ ნათლად დალაგებული არაა, ნათლად გარკვეული არაა ღმერთების ურთიერთობა. მაინც დღესაც შეგვიძლია ზოგიერთის განსაზღვრა: უფროსი ღმერთი **ანუ**—უფალი ცისა, ცხოვრობს ზეცაში, სადაც იღებს სხვა ღმერთებს; **ენლილ** — ბრძანებელი ქარიშხალის და გამგებელი კაცთა ბედის, მას ყავს ცოლად **ნინ-**

ლილ; ადად—ღმერთი ქუხილის და წვიმის, **ენკი**—უფალი წყალთა, წარმოების, სიბრძნის; **სინ**—ღმერთი მთვარის, უფალი დროის; **შამაშ**—ღმერთი მზის, სამართლის (აპოლონის წინაპარია); **ნერგალ**—ღმერთი მიცვალებულთა, უფალი საიქიოს—არალუს; **ნინურტა**—ღმერთი ომის (მან შესცვალა ძველი ღმერთი ნინ-გირსუ);ნინურტას ცოლია **გულა**, უფალი აჭიმობის (მან შესცვალა ნინ-გირსუს მეუღლე ბაბუ ან ბაბა). სუმერის პანთეონში მერმე და მერმე ყველა ქალ-ღმერთის თვისებები თავს იყრის ერთ დიდ ქალ-ღმერთში; ესაა დიდი დედა ღმერთი, **დედამიწა—ნანა, ინნინ, ინანნა,** რომელსაც სემიტებმა დაარქვეს ასტარტა ან იშტარ.

სუმერულმა გენიამ შექმნა და განავითარა ეს ცივილიზაცია, რომელიც ცოცხლობდა 1500 წელიწადს მისი შემოქმედების პოლიტიკური არსებობის გაქრობის შემდეგაც. ბაბილონეთში წერა-ლოცვა და საკანონმდებლოში საქმის წარმოება სუმერულად იყო დიდხანს. ეს ცივილიზაცია მიწვდა ინდუსის მდინარემდე და მთელი მცირე აზიას და სხვა ქვეყნებსაც და მისი კვალი დღემდის წაუშლელია. გამოჩენილი ამერიკელი მკვლევარი, **L. Voolley,** რომელმაც პირადად აწარმოვა გათხრები სუმერში და ზედმიწევნით შეისწავლა მრავალი ძეგლი და დოკუმენტი, ამბობს, რომ ჩვენ ალარ ვცხოვრობთ იმ დროში, როცა გვიმტკიცებდენ, რომ ყოველი ცოდნა და ხელოვნება საბერძნეთიდანაა, ჩვენ გავიგეთ უკვე, რომ საბერძნეთის გენიამ თავისი ძალა მოიღო ლიდიელებისა, ხეთელებისა, ფინიკიელებისა და კრიტელებისაგან, ეგვიპტესა და ბაბილონეთისაგან, ხოლო დასაბამი წყარო უფრო შორსაა—სუმერში. და **Voolley** თავის წიგნს სუმერელების შესახებ ასე ათავებს: „სამხედრო მოპოვება სუმერელების, ხელოვნება და ხელოსნობა, რომელიც მათ ისე მაღლა ასწიეს, მათი სოციალური ორგანიზაცია და ზნეობრივი და სარწმუნოებრივი მცნებანი არ არიან გარიყული მოვლენები, რალაც არქეოლოგიური ცნობისმოყვარეობის საგნები. ჩვენი საკუთარი არსე-

ბის დიდი წილი სუმერელებისაგანაა, ისინი არიან ჩვენი სულიერი წინაპრები, და ამიტომ ღირსნი არიან შესწავლისა და ღრმა პატივისცემისა ჩვენგან".

სუმერის აღმოსავლეთით მდებარეობდა ელამი, რომელსაც ეკავა სამხრეთ-დასავლეთი, ნაწილი დღევანდელი ირანისა, ქალაქ სუზით. ელამმა ჩაუდგა საფუძველი მიდიელების და სპარსელების ცივილიზაციას. მისი მეფეების პირველ დინასტიას ვხედავთ დაახლოვებით 2670 წლიდან ქრისტემდე. მისი ცხოვრება გადაბმულია სუმერის და აკადის და მერმე ბაბილონ-ასურეთის ისტორიასთან. თავის მეზობელ და მონათესავე ტომებთან ერთად ელამელები თავს ესხმიან მესოპოტამიას, ხან იმარჯვებენ, ხან დამარცხებულნი სხვისი მორჩილნი ხდებიან. დიდად წარმატებულია ელამი მე-12 ს. მას უკავია ტერიტორია ქვემო ტიგრიდან პერსეპოლისამდე და წარმოადგენს კარგად გაწყობილს მდიდარს სახელმწიფოს, მშვენიერი სასახლეებით და ტაძრებით. შემდეგ ბაბილონეთი დაიმორჩილებს, მაგრამ კვლავ მოიპოვებს დამოუკიდებლობას და საბოლოოდ მარცხდება და გაქრება მე-7-ე საუკუნეში, როცა მიდიელთა გამოსვლა მოხდება.

ელამში წარმოებული გათხრები, ნაწთები ნაშენებისა, ნაპოვნი ნივთები და მრავალი ტაბლეტი, ნათლად მოწმობენ, რომ იქ დაწინაურებული ცხოვრება იყო კარგი მრეწველობით. ელამი არსებობდა ორი ათას წელზე მეტს და თუმცა განიცადა დიდი გავლენა სუმერის, აკადის და მერმე ბაბილონეთის, მაგრამ თავისებური, საკუთარი ხასიათი შეინარჩუნა ბოლომდის. სუმერელებისაგან გადმოღებული წერის სისტემაში შეიტანა ორიგინალური ცვლილებანი და თავის პოლიტიკურ ორგანიზაციაში დაამყარა ისეთი წესი, რომ სამეფო პირს ჯერ დაბალ სამსახურში უნდა დაემტკიცებია თავისი უნარი და მერმე გამხდარიყო მეფე. შენახული დოკუმენტები გვიხატავენ ელამელთა საზოგადოებრივ ცხოვრებას. აი და-

ქორწინება, რომელიც ხდება ორივე მხარის „სრულის ნებით"; აი შვილობის და დაძმობილობის აქტი (ყოველი სამოქალაქო აქტი იწერებოდა, როგორც სუმერში): მამა შვილს თუ შვილობილს უანდერძებს თავის ქონებას და პირობას უდებს, სანამ ცოცხალი ვარ, უნდა მარჩინო და რომ მოვკვდები, საკურთხი გამიკეთე. დაძმობილების ხელშეკრულებაში აღნუსხულია ძმობილების ქონება და განსაზღვრულია წესი მისი სარგებლობის და მოხმარის. განჩუქების აქტში გამჩუქებელი იწყებს იმით, რომ არის სრულიად ჯანმთელი და შეუძლია თავისუფლად გამოთქვას თავის ნება. ასევე აცხადებენ ყიდვა - გაყიდვის საბუთში, მყიდველიც და გამყიდველიც. თუ მიწა იყიდება, გარკვევით უნდა აღინიშნოს მისი ზომა, მდებარეობა და ის, თუ რა საბუთით აქვს მოპოვებული გამყიდველს; ყოველ შემთხვევაში გამყიდველი გარანტიას იძლევა, რომ პასუხს აგებს, თუ ვინმე მოდავე გამოჩნდა. შეიძლებოდა მიწის ქირავობა, დაგირავება. არის დოკუმენტები სესხის —ვალად იღებდენ ხორბალს, ფულს. განსაზღვრულ ვადამდე სესხი უსარგებლოა, ხოლო მერმე დიდი ჯარიმაა დადგენილი. დოკუმენტებში არის გაცვლა - გამოცვლის აქტები, არსებობდა სავაჭრო ამხანაგობანი. ფულიან კაცს შეეძლო ამხანაგობისთვის გადაეცა ფული, ამხანაგობა აწარმოებდა მას რამე საქმეში, რომლის შესრულების შემდეგ ფულს უბრუნებდა პატრონს და ზედ მოგებასაც დაურთავდა. სასამართლო საქმეები ირჩევოდა ან არჩეულ მოსამართლეების — მედიატორების მიერ ან სახელმწიფო მსაჯულის მიერ. მოწმეებად გამოდიოდენ ქალებიც.

რამდენად დიდი ფასი ჰქონდა თავის დროს ელამს და მის კულტურას, ამას სხვათა შორის ის ადასტურებს, რომ ახემენიდები თავის ძეგლებზე წარწერებს სამს ენაზე აკეთებინებდენ — სპარსულსა, ელამურსა და ბაბილონურზე (ბაბილონური მაშინ საერთაშორისო დიპლომატიური ენა იყო).

ელამის ზემოდ, ზაგროსის მთებში ცხოვრობდენ კასხები, კასსიტები, კოსეელები, ბერძნების კოსაიოი, ელა-

მელების კუსხი, ბაბილონელების კასხუ. ისტორიულ ქარტებზე, კასხების მოსახლეობა აღნიშნულია ორ ალაგას: ერთი ელამთან, დღევანდელ ბაღდადის პარალელურად აღმოსავლეთით, მეორე უფრო ზევით, ურმიის ტბისკენ. ეტყობა კასხების მოსახლეობა ფართოდ ყოფილა გაშლილი. ევროპიელების მუშაობას კასხების საკითხში ძალიან აბრკოლებს ის გარემოება, რომ სრულებით წარმოდგენა არა აქვთ საქართველოსა და მის ისტორიაზე, არ იციან, რომ დღემდის არის დარჩენილი ნაშთი კასხების კახეთში. ასევეა მუსხების თუ მესხების საკითხში.

კასხების სახელი პირველად გვხდება 2½ ათას წლის წინად ქრისტემდე, ერთი ელამური დოკუმენტი ამბობს, მეფე პუზურ-შუშინაკმა დაიმორჩილა კასხებიო. მერე ისინი გამოჩნდებიან 1953 წ., როცა მოინდომეს ბაბილონეთის დამორჩილება, მაგრამ დამარცხდენ. ხოლო ამის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყეს შემოხიზნება ბაბილონეთში და 1750 წ. მეორედ შეუტიეს ბაბილონეთს, დაიპყრეს და ბატონობდენ იქ 1171 წლამდის. ბაბილონეთს სახელი გამოუცვალეს და დაარქვეს კარდუნიას, კალდუ, ქალდე. ისტორიკოსები ამბობენ, რომ კასხები ბარბაროსები იყვნენ, ჯეროვნად ვერ შეიგუეს დაპყრობილთა მაღალი კულტურა და მათ დროს ცენტრალური ხელისუფლება შესუსტდაო. ის კია, რომ კასხებმა ბაბილონელებს ასწავლეს პირველად ცხენი (მანამდე მხოლოდ ვირი იყო იქ) და აგრეთვე სამხედრო ეტლი. შესცვალეს აგრეთვე წინანდელი წელთაღრიცხვა და დააწესეს ახალი—ყოველი მეფობიდან იწყებოდა ახალი თვლა წლების, ეს წესი მესამე საუკუნემდის დარჩა. მხატვრულ შემოქმედებაში თვალსაჩინო წარმატება არა სჩანს — შენახულ ძეგლებში მეფეთა ტანსაცმელი საკმაოდ მდიდარია, თავზე ხურავთ ცილინდრული გვირგვინი, ფრთებით მორთული.

კასხების ბატონობა ბაბილონეთში გაგრძელდა თითქმის ექვს საუკუნეს. მაგრამ, კასხები ამის შემდეგ არ გამქრალან. მათ მოსახლეობას ეარდა ზაგროსის მთებისა, ვხედავთ სხვაგანაც. ფიქრობენ, რომ მდ. ღალისის მარც-

ხნით მობინადრე გასგას ტომი, რომელიც 14 - 12 ს. ს. ხშირად ხეთას თავსესხმოდა, იყო კასხები. მე-12 ს. კასხები სჩანან ზემო ეფრატზე და ორი საუკუნის განმავლობაში ომები აქვთ ასურელებთან. მე-შვიდე საუკუნიდან, კიმერიელების შემოსევის შემდეგ, ისინი თანდათან ჰქრებიან მცირე აზიაში და გამოჩნდებიან კავკასიაში კოლხების და კასხების სახელით.

კასხების დამხობის შემდეგ ქვემო მესოპოტამიაში, იქ აღსდგა ბაბილონეთის სემიტური სახელმწიფო, რომელიც რამდენიმე საუკუნის მერმე დაიპყრო ძლიერმა ასურეთმა. ხოლო ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, მეორე ათასეულის პირველ საუკუნეში, წინაზიის ისტორიულ სცენაზე გამოვიდნენ ახალი სახელმწიფოები ჰური და მიტანი და განსაკუთრებით ხეთა, რომლებიც იკავებენ პირველ ადგილს.



ჰურების და მიტანების ისტორიული ბედი მეტად გადასკვნილია ერთ - მეორეზე. მათ საბინადროს ეძახდენ სუბართუს (სუბარეთი) და მკვიდრნი ცნობილი არიან საერთო, სუბარების სახელით. ჰურ --მიტანები (სუბარები) ძალიან ძველი ხალხია და მათი კვალი მესამე ათა-

სეულშიც გხვდება. ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ ვიდრე სუმერები დაბინავდებოდნენ ქვემო მესოპოტამიაში, იქ სუბარეები ცხოვრობდენო. ხოლო საერთაშორისო სარბიელზე ჰურ-მიტანები გამოდიან მეორე ათასეულში. მაშინ მათ ეკავათ ზაგროსის მთებიდან დაწყებული ზემო მესოპოტამია და აღწევდნენ ხმელთაშუა ზღვამდე.

ცნობილი ორიენტალისტი დელაპორტის შედგენილ ისტორიულ ატლასში, ჰურის ტერიტორია მე-17 ს. ნაჩვენებია ფართოდ — შეიცავს პალესტინას, სირიას, ზემო მესოპოტამიას, ვანის და ურმიის რაიონებს და სამხრეთით ჩადის ბაბილონამდე; ასურეთი გარშემორტყმულია სამი მხრით ჰურით, როგორც მცირე ნახევარ კუნძული. ხოლო ამავე ატლასის ჩვენებით, მე-14 ს. ჰურს უპყრია მარტო ვანის და ურმიის რაიონები, და მის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს მიტანი. ორივე ტერიტორიები წინანდელთან შედარებითი მეტად შემცირებულია. ჰური და მიტანი უნდა იყოს ორი შტო ერთი ტომის. ჯერჯერობით კარგად არა სჩანს, ისინი სულ ერთად იყვნენ და მეთაურობა სახელმწიფოში ხან ერთს ეკუთვნოდა და ხან მეორეს, თუ მხოლოდ თავში იყვნენ შეერთებულნი და მერმე განცალკევდნენ, თავთავისი სახელმწიფო შეჰქმნეს. ჰური-მიტანის ისტორია წარმოადგენს ბრძოლებს ეგვიპტესთან, ხეთასთან და ასურეთთან ჰეგემონიისათვის. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მათი ტერიტორია მე-17 ს. ფართოდაა გადაჭიმული. ასურეთი მათი ვასალია, თუმცა მუდამ ურჩობს. ზემოდან ჩრდილო დასავლეთში მათ საზღვრავს ხეთა, რომელიც ჯერ კიდევ ზრდაშია. ქვევით სირიისა და ქანაანის დაკავებით ჰურ-მიტანი პირდაპირ უმეზობლდება ეგვიპტეს. ეგვიპტე ყველაზე უფრო ძლიერი მტერია და ალბად მისი ალაგმვის მიზნით მოხდა მე-17 ს. დასაწყისში აგრეწოდებული ჰიკსოსების შესევა ეგვიპტეში. ამ ჰიკსოსებს შეადგენდნენ უმთავრესად ქანაანის ნომადური ტომები, ხოლო მათი ხელმძღვანელნი და წამმართველნი იყვნენ ჰურები. ჰიკსოსებმა დაიპყრეს ნაწილი ეგვიპტისა და იქ ბატონობდენ საუკუნეზე მეტს.

ფარაონებმა ჰიკსოსები რომ ეგვიპტიდან გამოდევნეს, უკან დაედევნენ და შეიჭრენ შორს ჰურ-მიტანის სახელმწიფოში და ომები მრავალ წელს გაგრძელდა. ეგვიპტე ცთილობდა მტრის ცოცხალი ძალის ხელში ჩაგდებას და განადგურებას. მაგრამ ეს ვერ შესძლო. აღსანიშნავია, რომ ამ ომების დროს ხეთა და ასურეთი თანაგრძნობით და ძღვნებით ეგებებოდნენ ეგვიპტის წინსვლას. ომები ბოლოს დაზავებით და დამოყვრებით გათავდა: ზემოსირია დარჩა ჰურს - მიტანს, ქვემოსირია ეგვიპტეს. ეს მორიგება ორსავე მხარესთვის აუცილებელი იყო, რადგან ეგვიპტესაც და ჰურ - მიტანსაც თანდათან გაძლიერებული ხეთა ემუქრებოდა. ფარაონებმა ტუტმოს IV (1420 - 1405) და ამენოფის III (1405 - 1370) ცოლებად მიტანის მეფეთა ქალები შეირთეს და ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ეგვიპტის დედოფლობა უცხოელებს ელირსათ. ფიქრობენ, რომ დედოფალი ნეფერტიტი, რომლის შესანიშნავი ქანდაკება ბერლინის მუზეუმში ინახება, მიტანელია.

მე-14 ს. ჰურ - მიტანის სახელმწიფოს ასუსტებს შინაური უთანხმოება და ბრძოლები — ტახტის ორი მემკვიდრე ერთმანეთს ეცილებიან. დავაში ჩაერევა ხეთის მეფე, ერთს ჰურში გაამეფებს და მეორეს მიტანში და ორთავესთან კავშირს შეკრავს. ჰურ - მიტანის დასუსტებას გამოიყენებს ასურეთი, რომელიც დამოუკიდებლობას აღიდგენს და ზოგიერთ ადგილებსაც წაართმევს თავის ყოფილს სუზერენს. ამ მხრით უფრო მეტს პრეტენზიას ამჟღავნებს ხეთა, რომელიც ძლიერ გაიზრდება ჰურ - მიტანის ხარჯზე. მე-14 ს. ბოლოს ჰურ - მიტანელებს ეკარგებათ ყოველი მნიშვნელობა, მათ ხეთელები შეცვლიან.

ჰურ - მიტანი იყო მემკვიდროებით ფეოდალური მონარქია. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ სამეფო გვარი და მმართველი არისტოკრატია, ინდო-ევროპიელები იყვნენ. ამას იქიდან დაასკვნიან, რომ ზოგ მეფეს არიული სახელი აქვსო. ეს სუსტი დასაბუთებაა. საქართველოს ბევრს მეფეს სპარსული სახელი ერქვა, თამარ მეფისს სა-

ხელიც ხომ წმინდა ებრაულია, და ეს განა ვისმე საბუთს აძლევს, რომ ისინი ქართველები არ იყვნენ?

ჰურ-მიტანის ტაბლეტები კომერციულ შინაარსისას თითქმის არაფერს შეიცავენ, უფრო ეხებიან სასოფლო მეურნეობის ცხოვრებას. ცოლის თხოვის დროს სასიძო საცოლის მამას ფულს მიართმევს, რომელიც უკანვე უბრუნდება. საცოლო აჩუქებს საქმროს ტანისამოსს და ავეჯეულობას. დედ-მამა ქალს მზითევს აძლევს. თუ ცოლს შვილები ყავს და ქმარი გაეყარა, ქმარი ჯარიმას იხდის და შვილებზე უფლებას ჰკარგავს. თუ სხვა ქალი შეირთო და ამისგან შვილები ეყოლა, მისი ქონება მისი სიკვდილის შემდეგ, მაინც პირველ შვილებს რჩებათ. ჩვეულებრივი მოვლენაა გარეშეს შვილობა, ამას მიმართავდენ ხშირად იმისთვის, რომ გვერდი აეცილათ კანონისათვის, რომლითაც აკრძალული იყო მამულის გაყიდვა-გადაცემა სხვაზე, გარეშეზე. ამ შემთხვევაში მშვილებელი შვილობლისაგან საჩუქარს—სასყიდელს იღებდა. ვალის სარგებელი ხანდახან 50%-ს აღწევდა. ვალის ასაღებად შეიძლებოდა გირაოდ მიცემა ნივთის და ადამიანისაც, აგრეთვე თავდებობაც—ვალდებულობის პირნათლად შესრულებისათვის. დადებულ ხელშეკრულობაში აღინიშნებოდა, თუ რა სასჯელს მოიხდიდა პირობის დამრღვეველი. დანაშაულისთვის სასჯელი უმთავრესად ჯარიმაა, ფიზიკური დასჯა იშვიათია. ჭურდი იხდიდა ნაჭურდალის 24 ჯერ მეტ ღირებულებას.

სარწმუნოება წარმოაგდენს ბუნების ძალთა თაყვანისცემას. მთავარი ღმერთებია ტესუპ, ღმერთი ჰექა-ჭუხილის, წვიმის და მოსავლის, და ხეპა—ქალღმერთი განაყოფიერების, მსგავსი სუმერულ ინინასი. თაყვანს სცემდენ სუმერულ ღმერთებსაც და ზოგიერთს ასურულსაც.

ჰურ-მიტანების კულტურის, კერძოდ ხელოვნების, მეტად ძვირფასი ნაშთებია აღმოჩენილი ამ საუკუნის პირველ მეოთხედში (ტელ-ჰალაფში და სხ.). შენობათა ნანგრევები, ქანდაკებები, რელიეფები, იარაღები, სამკაულები, ჭურჭლები ცხადყოფენ მაღალ განვითარებას,

გარკვეულ თავისებურობას და დიდს მხატვრულ ნიჭს. ჰურ-მიტანური სკულპტურა, მიუხედავად პრიმიტივობისა, ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს თავის იშვიათი გამომეტყველობით. სასახლის და ტაძრის ანაგებობა წარმოადგენს გასაოცარ ჰარმონიულ შეერთებას არქიტექტურისა და სკულპტურის. **Oppenheim**-ი ამბობს, რომ ხუროთმოძღვრის და მექანდაკის შემოქმედება პირველად სუბარებმა შეაკავშირესო. მისივე თქმით, ტელ-ჰელაფში ჩვენ გვაქვს ბერძნულ-რომაულ ნაწარმოებათა წინამორბედნი და დღევანდელი მნახველიც წმინდა ესტეტურ სიამოვნებას განიცდის ტელ-ჰალაფის ძეგლებისაგანო.

ქანდაკებები და რელიეფები გვიხატავენ ჰურ-მიტანების რელიგიის, ზნე-ჩვეულებების, ყოველდღიური ცხოვრების სრულ სურათს. ჩვენს წინ გადაშლილია მრავალფეროვანი სახეები ღმერთების, დემონების, ადამიანების, ადამიან-ცხოველების, პირუტყვების შინაურის (ხარის, ძაღლის, ვირის) და გარეულის (ლომის, დათვის), ფრინველების (არწივის, სირაქლემასი), სფინქსების და სხვა ზღაპრულ არსებათა (მაგ. ფასკუნჯის), გილგამეშის ეპოსის გმირების და სხვა.

ჰურ-მიტანური ხელოვნება ენათესავება სუმერულს და ელამურს. ასურული ხელოვნება არის შეზავება ჰურ-მიტანურის და სუმერულის.

ჰურ-მიტანის მზე რომ ჩაესვენა, ამოვიდა ხეთის. მის ხსენებას ადრე ვპოულობთ ეგვიპტეს ძეგლებში, აგრედვე ასურულში, ბიბლიაში. იგი მდებარეობდა მცირე-აზიაში მდ. ღალისის რაიონში. ხეთის ისტორიაში განირჩევა სამი პერიოდი. მესამე ათასეულ წლებში არსებობენ პროტოხეთელები, რომელნიც არ არიან არც სემიტები და არც ინდოევროპიელები. ამ დროის ძეგლებს ახასიათებს ღრმა ორიგინალობა და ისინი ენათესავებიან სუმერულს და კრიტულს ცივილიზაციას. მესამე ათასეულის ბოლოდან მცირე აზიას შემოესევიან არიელები — ჯერ მცი-

რედ, მერე უფრო მრავლად. ისინი დაიპყრობენ ხეთის ტერიტორიას, თავს მოახვევენ თავის ენას (რამდენად?) თუ შეცვლიან წმინდა ხეთურს, და როგორც მმართველი



კლასი, სათავეში ჩაუდგებიან სახელმწიფოს. ამ პერიოდშია, რომ ხეთელები დაიპყრობენ ბაბილონს (1800 წ.), თუმცა იქ არ დარჩებიან. ამ დროსვეა დაარსებული სატახტო ქალაქი ხატუსა (ახლანდელი ბოღაზ-კოი). მესამე პერიოდი იწყება მე-15 ს. მიწურულიდან — ესაა ხანა ხეთის ახალი იმპერიისა, რომლის სიძლიერეს საფუძველი დაუდვა მეფე სუპილულიუმამ (1388-47). ხეთის მეფე საოგებლობს ჰურ-მიტანის დასუსტებას და დაიკავებს ზემოსირიის ნაწილს. ილაშქრებს მცირე მეზობელ სახელმწიფოების წინააღმდეგ, და შემოიერთებს მათ. დიპლომატიურ ზომებსაც მიმართავს, ზოგ სახელმწიფოში თავის შვილებს დასვამს სამეფო ტახტზე. და ხეთას უზრუნველყოფს ასურეთის აგრესივობისაგან. ახლა მის წინ დგას მხოლოდ ეგვიპტე, ხოლო სუპილულიუმას არ დასცალდა მასთან შებრძოლება. ამის შესრულება წილად ხვდათ მის შემკვიდრეებს, რომლებიც დიდი ხნით ემზადებიან ომისთვის. პირველი შებრძოლება

ხეთის დამარცხებით გათავდება, ეგვიპტე წაართმევს ახალ ადგილებს სირიაში. ხეთა შეაკავშირებს მცირე აზიის თითქმის ყველა ტომს ეგვიპტის საწინააღმდეგოდ. 1294 წ. მოხდება ისტორიაში განთქმული ბრძოლა კადეშის, ფარაონ რამზეს II და ხეთის კოალიციას შორის. ეს ბრძოლა იმ დროის დოკუმენტებში დაწვრილებითაა აწერილი და სამხედრო სპეციალისტები დღესაც არჩევენ და აკრიტიკებენ მას. კადეშის ბრძოლა ფარაონის გამარჯვებით გათავდა, თუმცა არა ისეთის სრულის და ბრწყინვალით, როგორც ამას ეგვიპტის წყაროები ასწერენ.

ასურეთის გაძლიერებამ და ბრძოლების გადაუწყვეტელობამ ეგვიპტე და ხეთა აიძულა, მორიგებულიყვნენ და მეგობრობის კავშირი შეეკრათ ერთმანეთთან. არსებობს სრული ტექსტი ამ ხელშეკრულობის, ერთს ცალს ეგვიპტეში ნაპოვნს, არქეოლოგები დიდი ხანია იცნობენ, მეორე აღმოჩნდა ბოღაზ-კოის გათხრების დროს. ერთი ცალი ხეთურად დაწერილია, რომელიც ფარაონმა ხეთას მისცა და მეორე—**ეგვიპტურად**, გადათარგმნილი ბაბილონურიდან, ეს ხეთის მეფემ გაუგზავნა ფარაონს. ხელშეკრულობის წაკითხვა გარწმუნებთ, რომ საერთაშორისო დიპლომატიას სამი ათასი წლის შემდეგ დიდი პროგრესი არ გაუკეთებია. შესავალში ხეთური ტექსტი აცხადებს: „რამზესმა, ეგვიპტის დიდმა მეფემ, დასდვა ხელშეკრულება ხეთის დიდ მეფესთან ხატუშელთან, რათა იყოს მათ შორის ძმობა“. ეგვიპტური ტექსტი კი ამბობს: „აი ხელშეკრულება, რომელიც ხეთის დიდმა მეფემ ხატუშელმა დასდვა ეგვიპტის დიდ მეფეს რამზესთან ძმობის დასაცავად ურთიერთშორის“. საგულისხმიეროა ჩვენი დროისთვის, რომ ხელშეკრულობაში ვხედავთ მუხლებს იმ დროის პოლიტიკ. ემიგრანტების შესახებ: თუ ეგვიპტეში ვინმეა ხეთიდან გამოქცეული, ფარაონმა უნდა დაუბრუნოს იგი ხეთის მეფეს, მაგრამ უკანასკნელმა არ უნდა დასაჯოს დაბრუნებული, არც რამე ზიანი მიაყენოს მას და მის ოჯახობას. მსგავს პი-

რობას სდებს ხეთელი მეფე ეგვიპტის ემიგრანტებისათვის. ამ მუხლის წაკითხვის დროს, ძალაუნებურად იტყვით, რომ კაცობრიობის მორალიც არ დაწინაურებულა 3200 წ. შემდეგ.

ხელშეკრულების დადებას დამოყვრებაც მოჰყვა ეგვიპტის და ხეთის: რამზესმა ხატუშელის ქალი შეირთო ცოლად.

ხანგრძლივმა ომებმა ხეთა გასტეხეს და დააუძლურეს. ასურეთმა შემოუტია და სირია წაართვა. ხეთის შემადგენელმა ნაწილებმა დაიწყეს განდგომა და დამოუკიდებლად ცხოვრება. ბოლოს ამას ზედ დაერთო დასავლეთიდან (თრაკიიდან) ახალი ტომების შემოსევა, რომელმაც ერთიან დაამხო ხეთის იმპერია მე-12 ს. დასაწყისში. ხეთელების ხსენება მაინც მთლად არ გამქრალა. ისინი დარჩნენ ზემოსირიაში, სადაც შეადგენდენ რამდენსამე პატარა სამთავროს. ებრძვიან ასურელებს და ამ მიზნით ხანდახან უკავშირდებიან ურარტელებს და მუსხებს. მათი არსებობა სირიაში მე-8 ს. დასასრულამდე გაგრძელდა. იქ წინად ჰურები ბატონობდენ, სემიტური ტომებიც ცხოვრობდენ და ეს სამი ელემენტი ერთმანეთს შეერივნენ.

ხეთის იმპერია, როგორც ჰურ - მიტანისა, ფეოდალური სახელმწიფოა, შეიძლება რამოდენადმე კონფედერაციის სახეც ჰქონდა. ზოგი მეზობელი სახელმწიფო ხეთის მოკავშირეა, ზოგი კიდევ მის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. ბოლო ხანებში მეფე მოსპობს ვასალებს და მათ ადგილზე პროვინციების გამგებლებად დანიშნავს თავის მოხელეებს. მეფეს განუსაზღვრელი უფლება არა აქვს, შეზღუდულია დიდებულთა კრებულით, რომელიც ამავე დროს არის უმაღლესი სამსაჯულო დიდებულების და მეფის გვარეულთა დანაშაულის გასარჩევად. მეფეს უწოდებენ „დიდ მეფეს“ და აგრეთვე „ჩემ მზეს“ (ქართული ფიცი „ჩემმა მზემ“). იმ დროის საერთაშორისო პროტოკოლის ძალით, მეფეები რომ ერთმანეთს წერილს მისწერდენ, მხოლოდ ეგვიპ-

ტის, მიტანის-ჰურის, კასხების და (მიტანის გაქრობის შემდეგ) ასურეთის მეფეებს ეწოდებოდათ „დიდი მეფეები“ და მხოლოდ მათ შეეძლოთ ერთმანეთისთვის ეწოდებიათ „ჩემო ძმაო“. ხეთის მეფე არის შუამავალი ღმერთებსა და ხალხს შორის, იგია მეთაური დიდი რელიგიური ცერემონიების. უფროსია და წინამძღოლი ჯარის და უმაღლესი მსაჯული. გამარჯვების შემდეგ ხეთის მეფე შეუბრალებლად არ ეპყრობა დამარცხებულებს, არ ხოცავს მათ — ატყვეებს მხოლოდ და მონებად მოყავს სახლში. მეფეს ჰყავს ერთი ცოლი - დედოფალი, რომელსაც ეწოდება „ტავანანნა“ (ღვთის დედა). მას საყვარლებიც ჰყავს, ხოლო მათ დედოფლობა არ ეკუთვნით. სადღესასწაულო გამოსვლების დროს, დედოფალი მეფის გვერდითაა. დედოფალს მეფობა არ შეუძლია, მაგრამ რეგენტობა კი. ის მონაწილეობას იღებს ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულების დადებაში. თუ დედოფალი უშვილოა, ტახტის მემკვიდრეობა გადადის მეფის რომელისამე საყვარლის შვილზე.

დიდებულთა წოდების ქვემოდ არიან თავისუფალნი და მონები. თავისუფალთა კლასს შეადგენენ ვაჭრები, ხელოსნები, მიწათმოქმედნი. მიწის საკუთრება კოლექტივურიცაა და კერძოც. მეტი წილი მიწისა ეკუთვნის მეფეს და ტაძრებს. ხეთა მდიდარი იყო მადნეულობით და რკინის და სხვა ლითონების წარმოება მეტად განვითარებული ჰქონდა. თავის ნაწარმოებს აწვდიდა ფართოდ მეზობელ ქვეყნებს. გასაყიდ საქონელის ფასებს აწესებდა კანონი. სამართალი დიდს მფარველობას უწევდა სოფლის მეურნეობას. დანაშაულის სასჯელი მკაცრი არაა: მკვლელობისთვის 4 კაცის მოცემა ან ფულის გადახდა, ფულითვე ანაზღაურება ჭრილობისათვის. დიდია სასჯელი შინაური პირუტყვის ქურდობისთვის. პირადი შურისძიება ნებადართულია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუ ქმარი შეასწრობს ცოლს საყვარელთან.

ცოლის თხოვა ხდება ყიდვით ან გატაცებით. აკრძა-

ლულია ცოლ-ქრმობა ახლო ნათესავების. ქალს საზოგადოთ დიდი პატივი აქვს, მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვაჭრობაშიც. კანონი მეტად სასტიკად სჯის, ვინც უპატივცემლობას გამოიჩენს ქალის მიმართ და რაიმე თუნდ მცირე შეურაცხყოფას მიაყენებს. აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: მე14 საუკ. ხეთის მეფე მურსილ მეორე აპირებდა ომს ერთ მეზობელ სახელმწიფოს (სეხას) წინააღმდეგ. უკანასკნელის მეფის დედა მურსილთან მოვიდა და თხოვა, ნუ შემოესევი ჩვენს ქვეყანასო. მურსილმა უარი თქვა თავის განზრახვაზე — ქალმა მთხოვა და არ შემიძლია პატივი არ დავდოო.

სარწმუნოებას ისე, როგორც ყველგან ძველ დროში, დიდი ადგილი უკავია. ეს სარწმუნოება ენათესავება სუმერიელებისას. მთავარი ღმერთებია: **ტესხუმ**, დიდი ღმერთი ჭექაქუხილის და წვიმის და დიდი ქალღმერთი **დედა-მიწა**. ორივე გამოხატავს განაყოფიერებას, გამრავლებას და მოსავალს. მათ გვერდითაა ახალგაზდა ღმერთი, შვილი დედა-მიწის თუ მისი საყვარელი. კაც-ღმერთები წარმოდგენილი არიან ელვით და ცულით ხელში, მათი ატრიბუტია კურო ხარი, ხოლო ქალ-ღმერთის ატრიბუტია ხან ლომი, ხან მტრედი. ხეთის დიდი ღმერთი შემდეგში იქცევა იუპიტერად, და ქალ-ღმერთი კიბელად, დემეტრად. მთავარ ღმერთებს შვილები ჰყავთ — ვაჟები და ქალები. არსებობენ მეორე ხარისხის ღმერთები მთების, ტყეების და სხ. მღვდელ-მსახურნი ექვემდებარებიან განსაკუთრებულ წესებს და სასტიკად ისჯებიან, თუ ცუდად ასრულებენ თავის მოვალეობას.

გათხრებმა ხეთის დედა ქალაქში და სხვა ადგილებში აღმოაჩინეს მრავალი ნაშენის ნაშთები—ქალაქთა ზღუდეების, სასახლეების, ტაძრების, კოშკების, ციხე-სიმაგრეების. არქიტექტურული მანერა, კედლების და კარების მორთულება, ჭანდაკებები, ბარელიეფები, სახეები ღმერთების, მეფეების, ადამიანების და ცხოველების, ცხადად მოწმობენ მაღალ მხატვრულ შემოქმედებას,

რომელიც ენათესავება სუმერისას და კრიტისას, მაგრამ აღბეჭდილია საკუთარი ორიგინალური თვისებებით. ასეთივეა ხეთური კერამიკა და გლიპტიკა. უეჭველია, რომ ხეთელებს უნდა დაეთმოთ ხელოვნების ისტორიაში ერთი საპატიო ადგილთაგანი. ბერძნებმა ჯერ-ოვნად შეაფასეს ხეთელების მხატვრული ნიჭი და სპეციალისტებს უდავოდ მიაჩნიათ ხეთური ხელოვნების გავლენა ბერძნულისაზე.

ხეთური ლიტერატურა საკმაოდ მდიდრულად არის მოცემული ბოზაღ-კოის გათხრებით. აქ არის ანალები, ისტორიული აღწერილობანი, ხელშეკრულობანი ისტორიული შესავლით, წესრიგი მოხელეებისთვის, ოფიციალური წერილები, ეპოსები და მითები, შელოცვები და წინასწარ გამოცნობანი, ასტროლოგია, მღვდელმსახურების წესები, დარიგება ცხენების გასახედნად და სხ.

ხეთების მხატვრული შემოქმედება გაგრძელდა სირიაში, სადაც მათ თავისი ეროვნული არსებობა შეინარჩუნეს და მოიპოვება ამ დროის ბევრი საინტერესო ძეგლი, რომელთაც ჰურის გავლენა გადაკრავს.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ კასხების დამხობის შემდეგ ქვემო მესოპოტამიაში აღსდგა ბაბილონეთის სამეფო, რომელიც მერმე ასურეთმა დაიპყრო. ასურეთი თანდათან გაიზარდა, დიდ იმპერიად გადაიქცა, წინა აზიაში ჰეგემონობა მოიპოვა და ეგვიპტესაც მიწვდა. ჩვენთვის მისი ისტორია საგულისხმოა იმდენად, რამდენად მის მოპირდაპირეებად გამოდიან მუსხები და ურარტელები.

ისტორიკოსებს დღემდის ვერ გადაუწყვეტიათ, თუ რა ძალამ წააქცია ხეთა. ზოგი ფიქრობს, რომ ეს იყვნენ ბოსფორზე გადმოსული მუსხები თუ ფრიგიელები (ზოგისთვის მუსხი და ფრიგიელი ერთი და იგივეა, ზოგისთვის—ერთმეორის მონათესავე ტომებია), ზოგი კი ხეთის დამაქცეველად სთვლის კასხებს — გასგას, რომელნიც ხეთის ჩრდილო დასავლეთით ბინადრობდენ და ხშირად თავს ესხმოდენ მას. ასეა თუ ისე, ხეთის დაღუპვის

შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე პირველად გამოჩნდებიან მუსხები და ცოტა უფრო გვიან ტაბალები. ჩვენ მიერ უკვე დასახელებული დელაპორტის ისტორიულ ატლასში მუსხების ტერიტორია დაახლოვებით 1100 წელში შემოფარგლულია ფარითოდ. მას უკავია შუა ღალისის ორივე ნაპირი და დასავლეთით გაწეულია ბოსფორისკენ. სხვა ქარტაზე მუსხები აღნიშნული არიან შუა ღალისის დასავლეთით და მდ. ეფრატის სათავესთან ალმოსავლეთით. მუსხების კვალი ვანის რაიონშიც სჩანს, რადგან არარატს მეორე სახელიც ეწოდება — მასის, რაიც გულისხმობს მასხებს, მუსხებს.

ჯერ კიდევ მე-13 ს. მუსხები გამოდიან როგორც მტრები ასურეთის და ხელს უწყობენ მისი მეფის ტუკულტი-ნინურტას დაუძლურებას. დაახლოვებით 1170 წ. მუსხები თავს ესხმიან ზემო ეფრატის მარცხენა ნაპირებს. ხშირი ბრძოლები აქვს მუსხებთან ასურეთის ძლიერების დამაარსებელს ტეგლატ - პალასარს (1115 - 1100). ერთი თავის გალაშქრების შესახებ ეს მეფე ამბობს, რომ ოცი ათასი მუსხი და ხუთი მეფე, რომლებსაც 50 წლის განმავლობაში ეპყრათ ასურეთის მოხარკე ალზი და პურიკიზზი და რომელნიც მანამდე ვერავის დაემარცხებია ომში და ამაყობდენ თავის ძლიერებით, — ჩამოვიდნენ კუმუხში და მე ისინი ღირსეულად დავსაჯე ასეთი უგნურობისათვისო.

წყაროები იხსენიებენ მუსხების ბრძოლებს ასურელებთან შემდეგ საუკუნოებში. მუსხები, როგორც ტაბალები რამდენსამე სამეფოს თუ სამთავროს შეადგენენ და საჭიროების დროს ერთებიან, ერთად ებრძვიან მტერს. ისინი ურარტუსაც ეხმარებიან ასურეთის წინააღმდეგ. მათ ქალაქები აქვთ, მდიდრულად ცხოვრობენ, ღვინის დაყენება იციან, შინაური საქონელი ბევრი ყავთ. კარგად იციან მადნეულობის დამუშავება და მათი დამუშავებული ჭურჭელი და იარაღი შორს ქვეყნებში გააქვთ.

სამწუხაროდ მუსხების წარსული მკრთალად არის გარკვეული. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, გერმანელ მე-

ცნიერებს ჰ. გელცერს და ე. შრადერს ამოკრეფილი აქვთ ასურულ წყაროებიდან ყველა ცნობა მუსხების და ტუბალების შესახებ. ეს ცნობები აქამდის სათანადოდ გამოყენებული არაა. მუსხთა — მესხთა საკითხი კი ლირსია დიდი ყურადღების. ვინ არიან მესხები? მესხები და ფრიგიელები ერთი და იგივენი არიან თუ ერთი ტომის, ორი ცალ-ცალკე შტო, თუ ორი სხვა და სხვა ტომია? საიდან მოვიდნენ მცირე აზიაში — ფრაკიიდან თუ სხვა ადგილიდან? რა კავშირია ბასხსა და მესხს შორის? ჩვენი ისტორიკოსების სიტყვით, მესხი სვანური გამოთქმაა, მეგრულ - ჭანურად იქნება მოსხი, ხოლო ქართულად მასხი. მასხი უდრის ბასხს. აფხაზის სახელი იყო ძველად ა—ბასხი (აბასგი), ერთი სირიელი მწერალი აფხაზს უწოდებს ბაზგს. ასე ამგვარად, მესხების საკითხი ძალიან ფართოდ იშლება. პირენეს ბასკების წარმოშობაც ამასთანაა დაკავშირებული.



გაცილებით უკეთესად არის გაშუქებული ასურეთის ახალი მოწინააღმდეგის და დიდი მეტოქის ურარტუს ისტორია. გარდა ასურულ ძეგლებისა, საჭირო ცნობებს საკმაოდ იძლევიან ურარტუს ნაწერები (ლურსმული),

რომლებიც ჯერ მთლიად გახსნილი და წაკითხული არაა. ჩვენ გვაქვს სრული სია ურარტუს სუვერენებისა 1½ საუკუნის განმავლობაში, როცა ურარტუ დიდს როლს თამაშობდა. ურარტუ მდებარეობდა ეფრატის და ტიგრის სათავეებთან, ვანის ტბის, მდ. არაქსის და არარატის რაიონებში. იგი შესდგებოდა სამი ნაწილისაგან: სამხრეთით იყო ნაირის ქვეყანა, მერე ვანი ან ბიანა და ჩრდილოეთით ურარტუ, რომელიც ყველას მეთაურობდა. ნაირი, ვანი და ურარტუ გეოგრაფიული სახელებია, თვითონ ხალხი თავის თავს ეძახდა ქალდის ანუ ხალდის. ასურული წყაროები ჯერ კიდევ მე-12 ს. იხსენიებენ ურარტუს და ნაირის არსებობას. გარკვეული ცნობები მე-9 საუკუნიდან მოდის. დაახლოვებით 860 წელს ურარტუს მეფე იყო არამი, რომლის სახელმწიფო დიდს არაფერს წარმოადგენდა. ასურეთის ჯარები რამდენჯერმე ამარცხებენ მის მემკვიდრეებს სარდურისს და ისპუინისს. ურარტუს სიძლიერე შექმნა მეფე მენუასმა (დაახლოვებით 800 წ.). მან ყოველი მხრისკენ გააფართოვა სამეფოს საზღვრები და სრულიად მოსწყვიტა ასურეთი მცირე აზიას. ამ დროიდან მერვე საუკუნის დასასრულამდე, მთელი მცირე აზიის ხალხებისათვის დიდი და სახელგანთქმული სახელმწიფო იყო არა ასურეთი, არამედ ურარტუ. მენუასის ღირსეული მემკვიდრე არგისტისი გაიწევს ჩრდილოეთისკენ, დაიმორჩილებს სირიისკენ მცირე სამეფოებს, მიუახლოვდება ურმიას, სამხრეთით ასი კილომეტრით ღაა დაშორებული ნინევიას და ამგვარად გარსშემოერტყმევა ასურეთს. ამ ჰეგემონობას დაუმკვიდრებს თავის შვილს სარდურისს მესამეს (დაახლოვებით 750 წ.). ამ ძლიერი მეფეების სატახტო ქალაქი მდებარეობს ვანის ტბის ნაპირად. ბრძოლა ურარტუს და ასურეთის ხან ნელდება, ხან მწვავე სახეს იღებს. ჩრდილო სირია გახდა მთავარი ველი შებრძოლების. სარდურისი ამარცხებს ასურელებს და უკან ახევინებს. საერთოდ სარდურისი დიდი მეომარია და ასურული წყაროები აღნუსხავენ არა ნაკლებ 27 მის გა-

ლაშქრებასა სხვადასხვა ქვეყნებში. 745 წელს ასურეთის ტახტზე ავიდა ტიგლათ - პალასარი, რომელიც ცდილობს დაცემული სამეფოს აღდგენას. პირდაპირ ვერ შეუტევს ურარტუს და მტრის ძალას მოსინჯავს აღმოსავლეთით, ურმიის მხარესკენ. საკმაოდ წაიწევს წინ, მაგრამ მტერს ვერ ავნებს. ბრძოლის ცენტრი ისევ სირიაში იქმნა გადატანილი და აქ ზემო ეფრატის ნაპირებზე ტიგლათ - ფალასარი შეეტაკება ურარტუს და მის სირიელ ვასალებს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ, სარდურისი მარცხდება. ახლა ასურეთის ჯარი პირდაპირ ურარტუს შეესევა, მიაღწევს ვანის ტბის ნაპირებს და ანადგურებს ქალაქებს. სარდურისი და მისი მემკვიდრე რუსა განაგრძობენ ომს, მაგრამ სასწორი თანდათან ასურეთისკენ იხრება. ასურეთის მდგომარეობას ართულებს ბრძოლა ელამის, ფრიგიელების (თუ მუსხების) და ტაბალის წინააღმდეგ, ხოლო მას შველის ის გარემოება, რომ ევროპიდან კავკასიაზე გადმოვლენ კიმერიელები და საშინლად ააოხრებენ ურარტუს. ამას სარგებლობს ასურეთის მეფე სარგონი (შარუკენი) და 714 წელს გაილაშქრებს ურარტუზე. რუსას ეხმარებიან კუმუხის მუსხები და მიდიელთა ზოგი ტომი. სარგონი დამარცხებს მათ და მიწასთან გაასწორებს ურარტუს დიდა ქალაქს. რუსა ვერ აიტანს ამ დამარცხებას და თავს მოიკლავს.

დასრულდა ურარტუს ძლიერება, თუმცა როგორც სახელმწიფო იგი შემდეგ საუკუნებშიც არსებობს. ომს ველარ უბედავს ასურეთს, პირიქით ცდილობს მასთან დამეგობრებას. ხოლო არც ასურეთმა იარსება დიდხანს ამის შემდეგ. ხანგრძლივმა და მკაცრმა ბრძოლებმა ერთმანეთთან დაასუსტეს ურარტუც და ასურეთიც და სრულიად ჰქრება ორივე ახალი ბაბილონეთის და განსაკუთრებით მიდია - სპარსეთის გამოსვლით მეშვიდე ს. ბოლოს.

ხეთა რომ დაემხო, მე-12 ს. მცირე აზიაში, მის ნანგრევებზე და მახლობლად გაჩნდენ პატარ - პატარა სახელმწი-

ფოები — კილიკია, პამფილია, კარია, ლიკია, ლიდია, ფრიგია. ისინი მდებარეობდენ ნაწილობრივ ეგეოსის ზღვის ნაპირად და ახლო, და როცა მეორე ათასეულის ბოლო წლებიდან, მცირე აზიის დასავლეთის მხარეებში ბერძენთა კოლონიები გაჩნდა, ამ სახელმწიფოებმა ბერძენთა გავლენა განიცადეს. ხოლო თავის მხრით, მცირე აზიის მკვიდრნიც დიდს გავლენას ახდენდენ ბერძნებზე, მათ ცხოვრებასა და კულტურაზე. ელინთა გავლენა უფრო დაეტყო კილიკიას და პამფილიას, სადაც ძველი მოსახლეობის და ბერძენთა შერევა - შეჯვარადინება მოხდა. კარიაშიც ძველი მკვიდრნი კონიები, ლელეგები და კარიელები ბერძნებმა ზღვის ნაპირებიდან განდევნეს. დასახელებულ სახელმწიფოთა შორის, ისტორია განსაკუთრებით იცნობს ლიდიას და ფრიგიას, რომელნიც ერთს დროს მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდენ მცირე აზიაში.

ლიდია მდებარეობდა სმირნის და ედესის რაიონებში და მისი დედა ქალაქი იყო სარდი. მე-13 საუკუნეში, ლიდიას საკუთარი მეფე ყავს, რომელიც ვასალია ფრიგიის და ფრიგია თავის მხრით ნაწილია ხეთის იმპერიის. ლიდიელები, ისე როგორც ფრიგიელებიც, მონაწილეობას იღებენ ზემოთ მოხსენებულ კადეშის ბრძოლაში. ლიდიის ხალხი სამს შტოს შეიცავს — მეონი, ტურსა თუ ტირსენ და სარდანა. ამბობენ, რომ ეტრუსკები ლიდიიდან გადასახლებული ტირსენები არიანო. სარდის ბოლოდროინდელი გათხრები ამჟღავნებენ, რომ უნდა იყოს მსგავსება ლიდიურსა, ხეთურ და ეტრუსკულ ენებს შორის. გათხრებში ნაპოვნი სამკაულები და სხვა ნივთები, ძლიერ გვანან ეტრუსკულს და ორივე აღბეჭდილია ხეთურ და მესოპოტამურ მისწრაფებით. ლიდიური ღმერთები პლდანს (—შ)—აპოლონი, არტიმუს—არტემიდა, ბაკის (—შ) — ბახუსი გვეუბნებიან, რომ ლიდიელებმა და აზიის ბერძნებმა ანატოლიის საერთო ფონდიდან აიღეს ეს სახელები.

ხეთის მოსპობის შემდეგ, ლიდია ფრიგიას ჩამოშორდა და მას მართავდა ხეთური დინასტია, რომლის უკანასკნელი წარმომაგდენელი იყო (მე-7 ს.) მირსილოს. ის ცნობილია უფრო კანდავლის სახელით. კანდავლი ტახტიდან გადააგდო და მის მაგიერ გამეფდა გიგეს (გვიგოი, გვიგოს, გუგუ), რომელმაც გააძლიერა ლიდია და დიდი სახელი გაუთქვა, განსაკუთრებით ელინთა შორის. მისი ტერიტორია შეიცავდა მცირე აზიის დიდს ნაწილს, ლალისის მდინარემდე და სამხრეთით თითქმის სირიის საზღვრამდე. მის დროს ლიდია ფრიად აყვავებული იყო ეკონომიურად. ლიდიელები დიდი მრეწველი და ვაჭარი ხალხი იყვენ. ლიდია შუამავალია ელინთა სამყაროს და მესოპოტამიას შორის. გიგესი მეგობრობს ასურეთს, ხარკს საც აძლევს. ამავე დროს დიდს შესაწირავებს უგზავნის დელფის ტაძარს. წონასწორობას იცავს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა. მის მდგომარეობას ერთიან შეაყენებს კიმერიელების შემოსევა, რომლებიც დაბინავდებიან ლალისის შესართავთან და ირგვლივ ქალაქებს და სოფლებს ანადგურებენ. გიგესი შეებრძოლება მათ და ამარცხებს 663 წ. კიმერიელები შემდეგ წელს თავს დაესხმიან მაინც და გიგესი იღუპება ბრძოლის ველზე. კიმერიელები აოხრებენ ლიდიას, მაგრამ დიდხანს არ შერჩებათ გამარჯვება. ჯერ ასურელებმა და მერმე სკითებმა სრულებით გარეკეს ისინი მცირე აზიიდან. ლიდია ისევ ფეხზე წამოდგა და კრეზოსის დროს (561 - 546) უმდიდრეს მხარედ ითვლებოდა. კრეზოსის სუფრა და ჯიბე უხვად მასპინძლობდა ელინებს. მის კარზე ვხედავთ გამოჩენილ ბერძნებს თალესს, ეზოპს, სოლონს და სხ. კრეზოს ფართოდ ეხმარება ბერძნის ქალაქებს ელადაში და ამავე დროს მცირე აზიაში ბერძენთ კალონიებს ზოგს შემოიერთებს, ზოგს მოხარკედ გახდის, ზოგს კიდევ თავის საკომერციო კანტროლს დაუმოჩილებს. ფრიგიაც კი, რომელიც ერთ დროს მისი სუზერენი იყო, ახლა თავის ვასალად გახადა. სარდი აივსო ოქროთი და საერთაშორისო ბანკად გადა-

იქცა. ინდუსტრიაც ძლიერ განვითარდა. ესეთი სიმდიდრე იყო საუბედურად მთავარი მიზეზი მიდიის გადამტერების. ორივე მხარე დიდიხანია ირაზმებოდენ ერთმეორის წინააღმდეგ. კროზოსი პირველი დაეტაკა მიდიას, დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა კიროსს. გარდაიცვალა 525 წ. ლიდია და მთელი ანატოლია სპარსეთ-მიდიის ხელში გადავიდა.

ლიდიის აღმოსავლეთით მდებარეობდა ფრიგია. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ მისი მოსახლეობა სხვა და სხვა დროს რამოდენიმე წყებად გადმოსული თრაკიელები იყვნენ. ზოგნი მათ უნათესავებენ მუსხებს. ხეთის დაქცევის შემდეგ, ფრიგიელები ხეთელებს შეერივნენ, საფიქრებელია. ფრიგელები, ისე როგორც კარიელები და პელასგები, ჰომიროსის ილიადაში მოხსენებულნი არიან პრიამის მოკავშირეებად*) და პრიამის ცოლი, ღეკუბა ფრიგელის ქალი იყო. ფრიგიის მეფეების სახელი ყოველთვის ან გორდიოს იყო ან მიდას (მიტა), ამბობენ, ეს უკანასკნელი მიტანელებისაგან ჰქონდათო. ფრიგიას ორი მტერი ყავდა — ლიდია და ასურეთი. კიმერიელებმაც ბევრად დააზიანეს, მაგრამ თავისი ეროვნული არსებობა სპარსელების გაბატონებამდე შეინარჩუნეს.

ფრიგიელების ტომობრივი ვინაობის გასარკვევად საყურადღებოა მათი სარწმუნოებრივი შეხედულებანი. მიწის ღმერთები არიან პირველ ადგილზე, **მა** (კიბელა), დედა ღმერთი **ნანა**, საყვარელი თავის შვილის **ატისის** — განაყოფიერების ღმერთის, **მენ** — მთვარის ღმერთი, **დიონიზოს**, რომლის კულტი საბერძნეთში ფრიგიიდან გადავიდა. ფრიგიის ერთი მდინარის ღმერთს სახელად **ნანა** ჰქვია, ხოლო ქვეყნის მეფე ქალს — **ი**-ი, რაც ნიშნავს ია. ეს რამოდენიმე დამახასიათებელი ფაქტი, რასაკ-

*) ჰომიროსი განასხვავებს ტროადელებს ფრიგელებისაგან, ხოლო ევრიპიდეს ტრაგედიებში ტროადელები თავის თავს უწოდებენ ფრიგიელებს და ბარბაროსებს (ბარბაროსი - არა ელინი).

ვირველია, საკმაო არაა, ფრიგიელების ჩამომავლობის საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ ეს გვიჩვენებს, თუ რა გზით უნდა წარიმართოს კვლევა.

ძალაუნებურად დაგებადებათ კითხვა: იმ შორეულ დროში, როცა ისტორიულ სარბიელზე მოქმედებდენ ზემოთ მოხსენებული ტომები, რა იყო კავკასიაში, რას წარმოადგენდა ის მხარე, სადაც მერმე გაჩნდა საქართველო? 25 - 30 წ. წინად ქართველი ისტორიკოსები ფიქრობდენ, რომ ქართველურ ტომების გამოჩენა კავკასიაში იწყება მე-8 - 7 ს. ქრ. წ. უკანასკნელ დროს საქართველოში წარმოებულმა გათხრებმა ერთიან გადააბრუნა ეს შემეცნება და ახლა მტკიცდება, რომ ქართველური ტომები სამხრეთ კავკასიაში უკვე მესამე ათასეულ წლებიდან ბინადრობდენ. უთვალავი ნაპოვნი ნივთი — ოქრო - ვერცხლის, სპილენძის, რკინის, თიხის, ქვის—ჭურჭლები, იარაღები, სამკაულები და სხ. ნათლად მოწმობენ, რომ სამხრეთ კავკასიაში, ამ შორეულ დროიდან დაწინაურებული მეტალურგიის და კერამიკის წარმოება არსებობდა, რომელსაც მსგავსება აქვს მესოპოტამიის და მცირე აზიის კულტურასთან. ალმოჩენილი ნივთები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ კავკასიას ახლო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა წინა აზიის ქვეყნებთან. რომელი ქართველური თუ იაფეთური ტომები იყვნენ პირველი ბინადარნი კავკასიაში და რომელნი მოვიდნენ შემდეგ, როგორ მოხდა ტომების შერევა, მათი ქართუზაცია, საქართველოს წარმოშობა— ეს სხვა საგანია და იგი არ შეადგენს დღევანდელი მოხსენების თემას.

ამით ამოვწურავთ წინა აზიის იმ ტომების და ხალხების მიმოხილვას, რომელთაც კავშირი აქვთ ჩვენი მოხსენების საგანთან. ჩვენ შევეხეთ იმათ ცხოვრებას და მოქმედებას, ძალიან მოკლედ, მკრთალად, ზოგადად. მათი შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა მეტის საშუალებას არ გვაძლევს. მოვა დრო, როცა ამ ხალხების ისტო-

რია ისევე ვრცლად, დალაგებით და სრულად იქნება დაწერილი და ფართოდ გავრცელებული, როგორცაა ეგვიპტის, საბერძნეთის, რომის და შეიძლება უკეთესადაც. ახლა დავკმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს. შეიძლება ჩვენი საგნისთვის საინტერესო ტომების რიცხვი, მარტო წინა აზიის საზღვრებით არ შემოიფარგლება, ამაზე ქვემოდ ვილაპარაკებთ. ჯერ კი გავარკვიოთ, ვინ არიან ეს სუმერელები, ელამელები, ჰურ-მიტანელები, ხეთელები, კასხები, მუსხები, ურარტელები, ლიდიელები ფრიგიელები? რა ურთიერთობაა მათ შორის? რა კავშირი აქვთ ქართველთა მოდგმასთან?

ყველა ჩვენ მიერ განხილულ ხალხს, ევროპიელ-ამერიკელი ისტორიკოსები — ფრანგები კერძოდ — უწოდებენ აზიანიკებს. ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი **Contenau** ასე განმარტავს ამ სახელს: აზიატიკ ნიშნავს საზოგადოთ აზიის ყოველ მკვიდრს, აზიატია—სამარყანდის და ბუხარის მცხოვრები, ხოლო აზიანიკები არიან ის ხალხები დასავლეთ აზიის, რომელნიც რასულად არც სემიტებს ეკუთვნიან და არც ინდო-ევროპიელებს. მიუნხენის პროფესორმა ჰომელმა დაარქვა ამ ხალხებს საერთოდ ალაროდიელები (ალაროდი, ბერძნულად დამახინჯებული ურარტუ - არარატია). გერმანელმა მკვლევარმა ვირტმა შემოიღო მათთვის სახელწოდება კასიელები (სიტყვის კავკასიის ბოლო ნაწილის მიხედვით). ჩვენმა თანამემამულე, ნ. მართმა, რომელმაც პირველმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ ხალხთა ეთნურ თავისებურებას და მათ ნათესაურობის წმინდა კავკასიელებთან, შექმნა მათთვის სახელი იაფეთიდები, იაფეთიანები.

ცხადია, ყველა ეს სახელწოდება ხელოვნურია და ამას მნიშვნელობა არა აქვს. რა სახელიც არ უნდა ვუწოდოთ, ფაქტია ის, რომ წინა აზიის პირველადელი მკვიდრნი წარმოადგენენ ერთს განსაკუთრებულ ოჯახს, სრულებით განსხვავებულს სემიტურისა და ინდო-ევროპიულისაგან.

კერძოდ, სუმერიელების არა სემიტობა და არა არიელობა არავისთვის საეჭვო არაა, ხოლო ზოგი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ სუმერიელები ეკუთვნოდენ ოჯახს სრულიად განცალკევებულს, რომელიც დღეს მთლად გამქრალია. ამ 70 წ. წინად ჯერ კიდევ ფრანგმა არქეოლოგმა ლენორმანმა გამოთქვა, რომ სუმერული ენა ქართუ-

ლის ნათესავიაო. ჰომელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა კავკასიის ერებს და მათ ენებს წინა აზიის ნათესავობის პრობლემის გადასაჭრელად. საზოგადოთ დღევანდელი მეცნიერები პირდაპირ აღიარებენ, რომ სუმერელები აზიანიკები არიან და მათი ენა აზიანიკურია, ან თუ ამას პირდაპირ არ ამბობენ, მათი საზოგადო დასკვნები ნათლად ადასტურებენ სუმერელების იაფეთიანებას თუ აზიანიკობას*).

ყველა დარწმუნებულია, რომ ელამელები აზიანიკთა ოჯახისაა და ელამური ენა ეკუთვნის იმავე ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან დანარჩენ წინა აზიის მკვიდრთა ენები, და რომლის აწინდელ წარმომადგენლებად მიაჩნიათ კავკასიური ცოცხალი ენები. ჰურ-მიტანურ ენის დოკუმენტი ჯერ-ჯერობით ცოტაა აღმოჩენილი. რაც არის, ამის მიხედვით მეცნიერები დაასკვნიან, რომ ეს ენა ჰგავს კავკასიურს, სახელდობრ ქართულს და 9-8 ს.ს. ურარტუს ენა ჰურ-მიტანურის ნათესავია. ქართველ ტომთა გაერთიანებას, აღმოსავლეთ ამ. კავკასიაში ბერძნები პირველად ეძახდენ სასპერებს, ხოლო მეოთხე საუკუნიდან ქრ. წ. იბერებს. ჩვენი ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ სასპერი, ძველი სუბარიისაგანაა წარმომდგარი.

ხეთაში მეცნიერები განარჩევენ ძველს ხეთურს და მერმენდულ ხეთურს. პირველის შესახებ, აზრთა სხვა და სხვაობა არ არსებობს----იგი აზიანიკურია ანუ კავკასიური. მეორე, მერმინდელი ხეთურის შესახებ, ზოგნი ლროზნის (ვენის და მერე პრაგის პროფესორი) მეთაურობით ფიქრობენ, რომ ეს ენა გაინდო-ევროპიულებურია თავის გრამატიკით, თუ ლექსიკონით არა. მათი არგუმენტაცია მაინცა და მაინც დამაჯერებელი არაა. აი ასეთი კურიოზი: ხეთურად მუ უდრის ფრანგულ **moi**-სო და

---

*) მ. წერეთელს საკმაოდ მოზრდილი ლექსიკონი აქვს შედგენილი საერთო სიტყვებისა ქართულსა და სუმერულში..

wesch—ინგლისურს **we** (ვაი-ჩვენ). მაგრამ არა ნაკლების უფლებით უდგება ეს სიტყვები ქართულს მე-ს და ჩვენ-ს. სხვები ახალ ხეთურსაც აზიანიკურად სთვლიან. არიან ისეთებიც, რომლებიც მას უნგრო-ფინურს ადარებენ. ზოგი კიდევ იმას ამბობს, რომ ეს ენა გამოყოფილია ენათა ოჯახიდან, ვიდრე ინდო-ევროპიული გამოიყოფებოდაო. ყოველ შემთხვევაში, ეს აზრთა წინააღმდეგობა ხეთურ ენის შესახებ არ ცვლის ხეთელების ეთნურ ნათესავობას სხვა აზიანიკებთან, თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა ეთნურ ელემენტებს (სარწმუნოებას, ხელოვნებას, ფიზიკურ მოყვანილობას). თუ მეორე ათასეულ წლების დასაწყისში არიელები შეესივნენ ხეთელებს, ეს არ იყო გადამწყვეტი მომენტი ხეთელთა დიდი ცივილიზაციის — შემოსეული ინდო-ევროპიელები მაშინ ნახევრად ველურები იყვნენ, თვითონ ხეთის მკვიდრნი კი საკმაოდ დაწინაურებულნი კულტურულად; და თუ ხეთამ ისეთი პოლიტიკური და კულტურული სიმაღლე გამოიჩინა, ეს წმინდა ხეთურ ტომის წყალობით და არა მოსულ არიელების.

არაფერს ვიტყვით კასხების და მუსხების შესახებ, რადგან მათი ვინაობის საკითხი ქართველებისათვის სადავო და საძიებელი არაა: კასხი — კახი და მუსხი — მესხი დღემდის ცოცხალი ნაწილია ქართველი ერის.

დასავლეთ მცირე აზიის ტომების: კარიის, ლიკიის, ლიდიის და ფრიგიის ენების დოკუმენტი მეტად მცირეა შენახული. მაგრამ ეს ენებიც იმავე ოჯახს ეკუთვნიან. ძველი დროის მცოდნენი ამბობენ, რომ საერთოდ მთელი მცირე აზია და მასთან ხეთაც დასახლებული იყო ერთი ეთნური ოჯახის ხალხებით. ამ მდგომარეობის არსებითი შეცვლა ბერძენთა კოლონიების გავლენას არ შეეძლო. ტომების ნათესავობას მარტო ენობრივი ნიშნები არ აცხადებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას, ხელოვნებას, ადგილების სახელებს. მკვლევარებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ მცირე აზიის

გეოგრაფიული სახელების დაბოლოვება დოს, ოსსა, ისსა, ესსა, ოსოს, სოს, ანდა, ინდა, ენდა სრულებით არ შეეფერება ბერძნულს. ეს სახელები იგივეა, რაც ქართული ჯვარისა, ლომისა, ქუთაისი, დმანისი, გურიანთა, ბიჭვიათა. მცირე აზიაში და საქართველოში გვხდება გეოგრაფიული სახელები „ეთი"-ს დაბოლოვებით. ვხედავთ ერთსა და იმავე სახელებსაც: ლორი, ქუთაია, განგრა, გორდი, მოსიხოს, მისტია, თიანითის, ქობულათუს, ხონი, სანგორ და სხვას მცირე აზიაში, ხოლო საქართველოში: ლორი, ქუთაისი, გაგრა, გორდი, მოხისი, მესტია, თიანეთი, ქობულეთი,, სამგორი და სხვა. ფრიგიაში შთას, სადაც კიბელას (მა — ს) სალოცავი იყო, დინდიმას ეძახდენ. უცხოელებს ვერ აუხსნიათ ამ სიტყვის ძირი. ეს კი ადვილია ქართულ - მეგრულის შემწეობით: დინდი მეგრულად დიდი, დინდიმა — დიდი მა (კიბელა). ამისთანა მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიტანოთ.

როგორც ვთქვით, სუმერელების და სხვა იაფეთიანების (აზიანიკების) პანთეონი ჯერჯერობით სრულად გარკვეული არაა, ხოლო რაც ვიცით, ისიც გვიჩვენებს, რომ წინა აზიის ღმერთები ერთ-მეორეს ენათესავებიან და ხანდახან სახელებიც ერთნაირი აქვთ. აღსანიშნავია, ყველა ტომში გაბატონებული კულტი განაყოფიერების და ალმოცენების (საქართველოში, მაგალითად სვანეთში, დღემდისაა ამის კვალი), კულტი ცხოველების (ხარის) და განსაკუთრებით ყველგან დიდად პატივცემულია დიდი დედა, დედა ღმერთი, დედა მიწა, რომლის ნაშთი შენახულია ფშავეთში. უნდა გვახსოვდეს, რომ რასაც ახლა ქართველები მიწას ვეძახით, ამას ძველად ეძახდენ ქვეყანას (ქვეყნის მოქმედი—მიწათმოქმედი) და დედა-მიწა კი გამოხატავდა მიწის ღვთაებას. უეჭველია, ქართული სიმღერის ალალე, არალე გამოძახილია სუმერის არალუს (ეს საიქიოს ნიშნავდა, მაგრამ შეიძლება საიქიოს სულსაც); ივლი - ალალე, სუმერულად ივრი - უფალს, მაშა-

სადამე აქ გვექნება უფალი ალალე (არალუ); თარი-ალ-ალე, თარი—სვანურად არის მთავარი, მაშასადამე თარი-ალალე—მთავარი ალალე (არალუ). ქართული მატიანე ქართველთა კარპენბად ასახელებს აინინას და დანანას, რაიცა უთუოდ იაფეტური საერთო პანთეონის ანარეკლია. შეიძლება ისიც, რომ ქართველთა განმანათლებელის ნინოს (ნინას) და მირიან მეფის ცოლის ნანას სახელებიც ამავე პანთეონის გამოხმაურება იყოს. ქართულ პანთეონში, მთავარე მთავარი ღმერთია, ასე იყო კარიაში და ფრიგიაში. ჩვენში ტარიოსის და მეხის ღმერთია ვეხი (ვოხი) — იგი მოგვაგონებს ხეთელების თეშუბს—ელვა-ქუხილის ღმერთს. ქართული „ღმერთი" ერთ-ერთ ღვთაების საკუთარი სახელი იყო, მერე გახდა საზოგადო სახელი. შეიძლება „ღმერთი" ელამური ღმერთ ქალის ლაგამარ, ლალამარის ნათესავი იყოს. ძველ დროში, მზეს ქართულად არდი ერქვა, ქალდურადაც არდი მზეა. ქა-

ა. ბ.

ა. სუმერული ქანდაკება, სადაფზე ამოჭრილი.

ბ. ქართული ქანდაკება, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის სვეტის თავზე.

რთული კალენდრით, სამშაბათი არის დღე თახას, ტერ-კინის, ხეთურად ტარკუ, ტარხონ ომის ღმერთია. ქარ-თულ კერპს ზადენს აგრეედვე უნათესავებენ ხეთურს მცენარეულობის ღმერთს სანდანს (სანტას).

ფასკუნჯი (ჰურ - მიტანური, სუბარული რელიეფი)

ისტორიკოსები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ წინა აზიის ტომების ხელოვნებას ერთი ბეჭედი აზის, ყველას ერთი მოდელი აქვს წინ—სუმერული. ასე მაგა-

ლითად, სუმერის დიდი მცოდნე **Vooley** სწერს, რომ სუმერის ცივილიზაციის კვალი და გავლენა ნათლად სჩანს მთელ მცირე აზიაში. ამასვე ამბობს **Contenau** და კერძოდ სუმერულ ხელოვნების გავრცელების გამო წინა აზიაში, გამოთქვამს სრულიად ჭეშმარიტს აზრს, რომ ერთი ხალხი ბაძავს მეორეს და გადააქვს მისი ხელოვნება, თუ მათ შორის ერთნაირი ნათესაურობით გამოწვეული სულიერი ერთობაა. „მთელი წინა აზიის აზ-

ფასკუნჯი (ქართული ქანდაკება მე-11 საუკ.)

ანიკური საერთო ფონდია იმის მიზეზი — განაგრძობს ფრანგი ორიენტალისტი — რომ ისე ფართოდ გაიშალა იქ ის ხელოვნება, რომელსაც უწოდებენ მესოპოტამურს ან დასავლეთ აზიურს და რომლის საფუძველია სუმერული ხელოვნება".

ეს ხელოვნება დიდხანს ყვავოდა მცირე აზიაში, სადაც მას ასაზრდოებდა აზიანიკების ეთნური ერთობა, როცა თვით მესოპოტამიაში მას დაეკარგა ფასი მას შემდეგ, რაც იქ გაბატონდენ სემიტები.

ჩვენ გადავავლეთ თვალი წინა აზიის ისტორიას, დაახლოებით ოთხი ათასის წლის მანძილზე. იქ ვხედავთ თავიდან იმ ხალხთა მოდგმას, რომელსაც აზიანიკებს, ალაროდიელებს, იაფეთიანებს ეძახიან. მათ ჩაუგდეს საფუძველი წინა აზიის დიდ ცივილიზაციას და მერმეც იღებენ დიდს მონაწილეობას მის განვითარებაში და პოლიტიკურადაც ფართო აქტივურს როლს თამაშობდენ მეექვსე საუკუნემდის ქრ. წინ. მათ წინააღმდეგ და მათთან პარალელურად მესამე ათასეულიდან გამოდიან სემიტები (აკადი, ბაბილონეთი, ასურეთი) და შემდეგ ინდოევროპიელები. ამათაც, რასაკვირველია თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს წინა აზიის ცივილიზაციაში, ხოლო წონა, ღირებულება და მნიშვნელობა იაფეთიანთა ნამუშევარისა და გაკეთებულისა გაცილებით მეტია.

წინა აზიის (შეიძლება ვიხმაროთ მოდერნული სიტყვა, ახლო აღმოსავლეთის) ცივილიზაციის ფასი ჯერ კიდევ სავსებით შესწავლილი და შეგნებული არაა. ეს კიდევ წინაა, შეიძლება უცდის იმ დროს, როცა მდიდარი საბუთები და ძეგლები იქნება აღსნილი და გადაშლილი. უკვე გაგაცანით ჩიკაგოს პროფესორის შიერას აზრი, რომ წინა აზიის ვათხრები ბევრს საკვირველებას აღმოგვიჩენენ. სიამოვნებით მოგიტანთ მეორე ამერიკელის ვილ დიურანის (ავტორია მრავალტომიან „ცივილიზაციის ისტორიის") შეხედულობას: „წერილობითი ისტორია აღწევს ექვს ათასს წელს, არა ნაკლებს. ამ ხნის ნახევრის განმავლობაში, ადამიანთა საქმეების ცენტრი იყო ახლო აღმოსავლეთი... მთელი ჩვენი ცივილიზაცია, ევროპიული და ამერიკული, მისგან გვაქვს შილებული, ჯერ ქრიტელების და მერე საბერძნეთის და რომის მაშუალობით. არიელებს არ შეუქმნიათ ცივილიზაცია, იგი გადმოდის მესოპოტამიისა და

ეგვიპტისაგან. მით უფრო არ დაუწყია ცივილიზაცია საბერძნეთს. მან ამ დარგში მეტი მიიღო, ვიდრე მოგვცა. საბერძნეთი ბედნიერი მემკვიდრე იყო, რომელმაც ისარგებლა ძველი—სამი ათასი წლის ხელოვნება და ცოდნა, მის ქალაქებში შემოტანილი შემთხვევით ან ომების შემწეობით. ჩვენ რომ ახლო აღმოსავლეთს ვეცნობით და პატივს მივაგებთ, მხოლოდ ვალს უხდით ევროპის და ამერიკის ცივილიზაციის ჭეშმარიტს დამაარსებელთ".

ვილაპარაკეთ წინა აზიის ხალხებზე. იაფეთიანთა მოდგმის საკითხი ძალაუნებურად იწვევს ფარგლების გაწევას წინა აზიის გარეგ, რადგან მისი კვალი სხვაგანაც ცხადდება. გადავიხედოთ დასავლეთისკენ, ევროპისკენ. ძველ ბერძნებში გარდმოცემა არსებობდა, რომ ვიდრე ბერძნები მოვიდოდნენ, სულ სხვა ხალხი ცხოვრობდა იქ, რომელსაც პელასგებს უწოდებდენ. მკლევარების ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ბევრი ბერძნული სიტყვის ძირი ბერძნული არაა, რომ მსგავსად მცირე აზიისა საბერძნეთში ზოგი ადგილის სახელი ბოლოვდებოდა ssos და nda-თი. ელინისტებს უცნაურად ეჩვენებოდათ აგრედვე ბერძენთ ღმერთების სახელები. არქეოლოგებს დიდი მასალა მისცა ეგეოსის კუნძულებზე, განსაკუთრებით კრიტის კუნძულზე წარმოებულმა გათხრებმა. გამოირკვა, რომ კრიტზე და ეგეოსის სხვა კუნძულებზე მესამე ათასეულ წლებიდან არსებობდა სრულიად თავისებური მდიდარი კულტურა, რომელსაც დღეს უწოდებენ ეგეოსის ან კრიტის ცივილიზაციას, რადგან საუკეთესო ნაშთებს ამ ცივილიზაციისას გვაძლევს კუნძული კრიტი. კრიტის ცივილიზაცია ყვავოდა განსაკუთრებით მეორე ათასეულ წლებში, 1400 წლამდის. კრიტი წარმოადგენდა მშვენიერად, პოლიტიკურად და სოციალურად მოწყობილს სახელმწიფოს. ეკონომიური ცხოვრება იყო მაღალ დონეზე — ლითონის წარმოებით, მხატვრული კერამიკით, ქსოვილებით. ფართოდ იყო განვითარებული ვაჭრობა და კრიტი გვევლი-

ნება ისტორიაში პირველ საზღვაო სახელმწიფოდ თავის წარმატებულ ფლოტით. სახლები შენდებოდა დიდი არქიტექტურული გამოცდილებით, რომელიც ითვალისწინებდა ერთსა და იმავე დროს სიამოვნებას — სინათლის და ჩრდილის განაწილებით, სვეტების გამოყენებით, კედლების მოხატულობით, სახლიდან გამოხედვისათვის, სათანადო პეიზაჟების შერჩევით, და პრაქტიკულს კონფორტს—კანალიზაციას მომდინარე წყლით ფეხისადგილებისთვის, აბანოებით, სუფთა წყლის მოწოდებით სასმელად. ჰქონდათ არქივები. ქუჩები იყო სწორი და მოკირწყლული, მშვენიერი ხიდებით და ვიადუკებით. ცივილიზაციას ემჩნევა გავლენა ეგვიპტის და განსაკუთრებით მცირე აზიის, ამასთან ყველაფერი ორიგინალური, თავისებურია. აზიიდანაა გადმოღებული ლითონის მრეწველობა, წერა, ტანისამოსი, მესაქონლობა და განსაკუთრებით სარწმუნოება. აქაც იგივე კულტია დიდი დედის, დიდი ქალ-ღმერთის, კულტი განაყოფიერების, კულტი ცხოველების და ხეების.

ისტორიკოსები კრიტის ბრწყინვალე ცივილიზაციას სთვლიან პირველ მედიტერანულ სასწაულად, რომელმაც მხოლოდ შესაძლებელი გახადა მოვლენა მეორე სასწაულის, აგრეწოდებული ელინური სასწაულის (საბერძნეთის ცივილიზაციის), და რომ არ ყოფილიყო კრიტის ცივილიზაცია, არ იქნებოდა ელადის ცივილიზაციაც.

სამწუხაროდ 1400 წ. ჩრდილოეთიდან მოსულმა ურდოებმა (ბერძნებმა) დაამხეს კრიტის ცივილიზაცია და მკვლევართა სამართლიანი აზრით, ეს იყო რამდენიმე საუკუნით უკანდახევა, რეგრესი.

ამ დამხობის შემდეგ, ბევრი კრიტელი სხვა ქვეყნებში გარდაიხვეწა. სხვათა შორის ერთი ჯგუფი მოვიდა ჭანაანში — ესენი იყვნენ ფილისტიმელები, რომელთაც კრიტის ცივილიზაციის ელემენტების გადმოტანით საფუძველი ჩაუდვეს პალესტინის კულტურას და პალესტინის სახელიც მათგან წარმოსდგა (პალესტინა—ფილი-

სტიმელთა ქვეყანა). მეორე ჯგუფი კიდევ ფინიკიაში დასახლდა და იქ კრიტული ცივილიზაციის კერა შექმნა.

ვინ იყო ხალხი, რომელმაც წარმოშვა კრიტის ან ეგეოსის ცივილიზაცია? იგი არაა არც სემიტური, არც ინდო-ევროპიული მოდგმის. ენა არა ჰგავს ბერძნულს. ფიზიკური ტიპი ბასკებს მოგვაგონებსო, ამბობს ზოგიერთი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარწმუნოებაში, მხატვრობაში და სხვა დარგში არსებობს მსგავსება მცირე აზიის და კრიტის მოსახლეობათა შორის. ამის მიხედვით, ისტორიკოსები დაასკვნიან, რომ ეგეოსის მკვიდრნი უნდა ეკუთვნოდნენ იაფეთიანთა თუ აზიანიკთა ოჯახს.

ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ყველამ უწყით, რომ სამხრეთი გერმანია, საფრანგეთი, ვიდრე იქ გერმანელები და კელტები (გალები) მოვიდოდნენ, ეკავათ იბერიებს. ამის კვალი შენახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილების და მდინარეების სახელები. ყველაფერი ეს უბრალო სახელმძღვანელოებშიც არის აღნიშნული. ნ. მარი ფიქრობდა, დასავლეთ ევროპის, ნამეტურ სამხრეთის, დღევანდელი მკვიდრნი წმინდა არიელები კი არ არიან, არამედ იაფეთიანთა და ინდო-ევროპიელთა შეჯვარადინებული მოსახლეობაა.

უწყით აგრეთვე ბასკების არსებობა ისპანიის და საფრანგეთის საზღვრებზე, რაც ცხადჰყობს პირენეს რაიონში, თუ უფრო ფართოდ, ბასკების — მასხების ტომის ბინადრობას. ალბად მთელი ისპანია დასახლებული იყო ბასხ-იბერთა ტომებით.

ყველას მოგეხსენებათ, რომ იტალიის მკვიდრნი ევროპიელ ლათინთა მოსვლამდე იყვნენ ეტრუსკები, რომელთა კულტურა საფუძველია რომისა და რომელთა ჩამომავლობას იაფეთიანთა ოჯახს უკავშირებენ. ორიგინალური მკვლევარი სოციალურ გეოგრაფიისა **Ed. Demolins** დარწმუნებულია, რომ ეტრუსკები, ისევროგორც პელასხები, კოლხეთიდან არიან გადასახლებულნი, რომ საერთოდ, კოლხეთმა დაუდვა საფუძველი მედიტერა-

ნულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას.

ბოლო დროს წარმოებული გათხრები სამხრეთ რუსეთში იმის საბუთს იძლევიან, რომ შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები, უძველეს დროში დაკავებული იყო იაფეთიანთა თუ აზიანიკთა მონათესავე ტომებით.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ერთ დროს მთელი ტერიტორია წინა აზიისა მდ. ინდუსიდან დაწყებული, ბალკანეთი, იტალია, ისპანია, სამხრეთი საფრანგეთი და გერმანია და შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები დასახლებული იყო ერთი და იგივე მოდგმის ხალხებით. საიდან გაჩნდნენ აქ ისინი? საფიქრებელია, რომ ისინიც იქიდან მოვიდნენ, საიდანაც შემდეგ ინდოევროპიელები — ცენტრალურ აზიიდან და გამოიარეს იგივე გზა: ნაწილი წინა აზიაში დაბინავდა, ნაწილი ევროპაში. დროთა განმავლობაში ხდებოდა მათი გადასვლა - გადმოსვლა, შერევა, შეჯვარადინება.

ასე ფართოდაა შემოფარგული იაფეთიანთა მოსახლეობის სივრცე. ეს ჯერ ჰიპოტეზაა მხოლოდ, ჰიპოტეზა, რომელსაც ბევრი, ბევრი შანსი აქვს, უდავო დებულებად იქცეს. ეს სივრცე შეიძლება შეიზღუდოს; შეიძლება ისიც, რომ გაიშალოს. ყოველ შემთხვევაში, ეს გარემოება ვერ შეცვლის იმ უეჭვო ფაქტს, რომ იაფეთიანთა ნათესავს ისტორიაში ფრიად დიდი ადგილი ეკავა და დიდია, მძლავრია მისი როლი კაცობრიობის ცივილიზაციის შექმნაში...

დიდი ადგილი ეკავა, ვამბობთ, ანუ უკეთ ამბობენ საქმის მცოდნენი, ადამიანები, რომელნიც ეძებენ ისტორიულ სიმართლეს. დღეს რალაა, ვიკითხოთ ჩვენ, ეს ერთ დროს ასე განთქმული მოდგმა? მისი ნაშთი ძლივს ლა მოსჩანს მსოფლიოს რუკაზე. ამ მოდგმის ცივილიზაციას სხვები დაეპატრონენ, სხვები აგრძელებენ. ამ მოდგმის ჩამომავალთათვის ნასუფრალიც კი არაა. წავიდნენ, გაჰქრნენ ძლიერნი და ბრწყინვალე წარმომადგენელნი იაფეთიანთა რასის. და შეიძლება, ვინმემ თქვას: გაჰ-

ქრენ იმიტომ, რომ უკეთესებმა გაიმარჯვესო. სამწუხაროდ, ომში წაქცევა, დამარცხება, ყოველთვის არ ნიშნავს უკეთესის გამარჯვებას. ისტორიამ იცის კატასტროფები უხეში, უკულტურო ძალის გამოწვეული. ზევით მოვიხსენიეთ, რომ კრიტის წახდენას მოყვა რამდენიმე საუკუნის რეგრესი. განა ნაკლები უკან დახევა იყო სუმერის დაპყრობა სემიტების მიერ და მისი ცივილიზაციის ნორმალური განვითარების შეწყვეტა? ან ჰურ-მიტანის, ხეთის გაქრობა? თუ ასურეთმა ურარტუ წააქცია, არა იმით, რომ უკეთესობა მოქონდა, არამედ იმიტომ, რომ უფრო დაუნდობელი მეომარი იყო.

ჩვენც, საქართველომაც გამოსცადა ისტორიული კატასტროფა—მონგოლების შემოსევა მეცამეტე საუკუნეში, როცა დაიმსხვრა საქართველოს მაღალი, დახვეწილი ცივილიზაცია, ჰარმონიული შემტკიცება და შედუღება დასავლეთის და აღმოსავლეთის საუკეთესო ელემენტების ქართულ ნაციონალურ სულში. მეთორმეტე საუკუნის საქართველო დაიმარხა და მე-15-16 ს.ს. აღდგენილი — ეს იყო დიდი კულტურის ზოგიერთი ნატეხის და ნამსხვრევის თავის მოყრა. რომ არა ეს კატასტროფა, საქართველო დღეს ახლო აღმოსავლეთის მთავარი მომქმედი პირი იქნებოდა, სულ სხვა გზით წაიმართებოდა მისი ისტორია, ისტორია მთელი წინა აზიის, ბიზანტიის, ევროპისაც...

მაგრამ რაც არის — არის. ფაქტები — ფაქტებია და დღეს იმ მოდგმას, იმ რასას, რომელსაც ყველაზე მეტი დამსახურება აქვს ისტორიაში, ან თუ გნებავთ, რომ ვისმე არ ვაწყენინოთ, რომელსაც სხვებზე ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის, — ამ მოდგმას დღეს წამროვადგენთ ჩვენ, ქართველები და ჩრდილო კავკასიელნი, 600-700 ათასი ბასკის მომატებით, სულ 5-6 მილიონამდე სული. ჩვენ და ელემენტები, ნატეხები წინაპართა შექმნილ და მოძალათეგან დანგრეულ ცივილიზაციათა, რომელთა საბუთები ჯერ კიდევ მიწაშია შენახული და რომელნიც, მიუხედავად დანგრევისა, დაედვენ საფუძ-

ვლად შემდეგ ცივილიზაციებს. სემიტებმა დააქციეს სუმერი, მაგრამ დაეყრდნენ მის კულტურას — მის რელიგიას (მხოლოდ სახელები შეუცვალეს სუმერულ ღმერთებს), მის ცოდნას, ტექნიკას. ელინებმა დააქციეს კრეტი, მაგრამ მერმე ნელნელა ამოკენკეს მის ნანგრევებში ელემენტები თავის ცივილიზაციისთვის. მათივე მასწავლებლები იყვნენ მცირე აზიის მკვიდრი ტომები. მათი პანთეონი უმთავრესად ამ ტომთაგანია. პრომეთეც — ქართველი ამირანი — ეს წმინდა მცირე აზიის მეტალურგიის წარმოშობილი ლეგენდაა. არგონავტების თქმულება ქართული წარმატებული მრეწველობის გამოძახილია. ვისაც პლატონი წაუკითხავს, არ დაივიწყებს, თუ რა მხატვრულად, ცოცხლად აქვს დახატული ფილოსოფოსს, ბრძოლა ადამიანში პირუტყვულ ინსტიქტების და იდეალურ მისწრაფების. ეს ორბუნებიანობა ადამიანისა დიდად იპყრობდა სუმერელთა გონებას: მათ ღმერთებმა კაცი შექმნეს მიწისაგან (კეციისაგან) და ჩაბერეს ზეციური სული, ამიტომ ადამიანში ორი არსებაა — ერთი მიწისკენ ეზიდება, მეორე ცისკენ. ესევე აზრი გამოსთქვეს მათ თავის ქანდაკებებით, რომლებიც წარმოადგენენ ნახევრად ადამიანს, ნახევრად ცხოველს. სუმერელების მითოლოგია — ქვეყნის ვაჩენის, ადამ და ევა, წარღვნა, ბორობტის და კეთილის ბრძოლა, სოციალური მორალის პრინციპი და სხვა ებრაელთა ბიბლიის საშუალებით, მთელი ქრისტიანობის რწმენის საგანი გახდა. ქრისტეს აღდგომა, სამება - ღმერთი წინა აზიის წარმოშობისაა. ღვთის მშობლის კულტი — ეს შეცვლილი კულტია იმ დედა ღმერთის, რომელიც ზევით გვქონდა მოხსენებული. ქრისტიანობა მცირე აზიის შექმნილი რელიგიაა. ის იშვა პალესტინაში, ხოლო მისი საფუძვლები, დოგმები, ორგანიზაცია — სულ მცირე აზიისაა. მართალია, მაშინ — ამ ქრისტიანობის შემუშავების დროს აზიანიკების სახსენებელი ალარსად იყო, მაგრამ დარჩენილი იყო ძველი სული, ფსიქიკა, ტემპერამენტი, ღრმა რწმე-

ნები, ზნენი, რომელიც შემდეგ მთელი ბიზანტიის მამოძრავებელი ძალა შეიქნა.

თვითეული ეს საკითხი ცალკე დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ და ისიც ზოგიერთს.

არც ერთს ქვეყანას არა აქვს კაკობრიობის ისტორიისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც წინააზიას. და შეიძლება, დღეს არც ერთს მხარის წარსულზე არაა მიქცეული იმდენი ყურადღება, რამდენიც წინააზიისაზე. უკვე არსებობს მდიდარი ლიტერატურა. მთელი ტომი იქნებოდა საჭირო ავტორთა და მათ ნაწერთა ჩამოსათვლელად. გამოცემულია მრავალი ტომებად აღმოჩენილი წარწერები. არსებობს სპეციალური პერიოდიული გამოცემანი, ერთი პარიზშიცაა, რომელნიც იძლევიან ახალ ახალ ცნობებს. გათხრებზე მუშაობენ უველა განათლებული ერის არქეოლოგები. პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა დიდად შეაფერხეს კვლევა-ძიება, მაგრამ იმედია ახლა იგი მიიღებს ინტენსივურს სახეს.

სამწუხაროდ ერთი რამ ჰბორკავს და ცუდი გეზით მიმართავს ევროპიელ და ამერიკელ მკვლევარების მუშაობას. ესაა ქართული ენის და საქართველოს ისტორიის უცოდინარობა ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, კავკასიელ ერების და კავკასიური სინამდვილის უცოდინარობა. წინა აზიის ისტორია არის ყოვლის უწინარეს აზიანიკების, იაფეთიანების ისტორია და თავისთავად ცხადია, რომ მკვლევარი აუცილებლად უნდა გაეცნოს იაფეთიანთა ღდემდის დარჩენილ წარმომადგენლებს, რადგან ამ ცოცხალ ხალხებში და მათ ენებში შენახულია ნაშთი უძველესი დროის.

ამ გარემოებას კარგი ხანია ყურადღება მიაქცია განწვენებულმა ნ. მარმა. თავის საჯარო ლექციაში, რომელიც ქუთაისში წაიკითხა 1911 წელს, მან განაცხადა: „ორიენტალისტები და თვით კლასიკებიც უკვე მოსულნი არიან კავკასიის კარებთან, მის წიალთან ეძიებენ და არც უსაფუძვლოთ ელიან საჭირო პასუხებს, თავ-თავის

საგნებზე. კმარა ერთი გაბედული, ვთქვათ ბროსეს მსგავსად, საქმეში მუყაითი, ნამდვილ მეცნიერულად გაწრთვნილი დასავლეთელი შემოვიდეს ჩვენს მასალებში, კმარა ასეთმა სწავლულმა, ერთი ყურადღებით და შეგნებით ჩახედოს მას, რაც უკვე გამორკვეულია, რომ ქართულს და მის მონათესავე ენებს ფართოდ გაეღოს კარები ყოველ უნივერსიტეტში, სადაც კი იკვლევენ ან კაცობრიობის უძველეს ისტორიას ან საბერძნეთის და რომის უძველეს ისტორიას ან სემურს ენებს ან ლურსმულ წარწერებს ან ძველი აღთქმის პირველ წიგნების თავგადასავალს ან სომხურ ენას ან საზოგადოთ საყოველთაო ენათმეცნიერებას. ქართულს და მის მონათესავე ენებს, ჩემთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში. ცხადია იმ ხანაში ამ დარგის მეცნიერები მეცნიერულ გამარჯვებასთან მოიხვეჭენ უფრო მეტს ქონებრივ კეთილდღეობასაც და მაშინ, მე მწამს, მოზარდ თავობას, პაწაწინა და მოზარდ ქართველ ვაჟებს და ქალებს მათი, სამშობლოს მოტრფიალე, დედები, მამები და ბიძიები მეტის გულწრფელობით, ნამდვილი გულის სილრმიდან ეტყვიან: „პატივ ეც დედა ენასა შენსა“, და უფრო გამარჯვებული ჩაგონებით ზე დასძენენ: „და ისწავლიდე მას და ყოველთა ძმა-ენათა მისთა მეცნიერულად, და კეთილ გეყოს შენ“.

ესევე აზრი გაიმეორა ნ. მარმა თავის ლექციაში, აქ პარიზში ოცდასამი წლის წინად (1923, 3/11). მან თქვა სახელდობრ: „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება, თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად ვერც ერთი საკაცობრიო კულტურულ სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება“.

Sapienti sat — გონიერისთვის კმარა, იტყოდენ რომაელები. გამგები გაიგებს, იტყვის ქართული ანდაზა. ქართულს ნაციონალურს შეგნებას მტკიცე და ღრმა საფუძვლების უქონლობა აუძლურებს. თუ ავადმყოფური შოვინიზმი—ყველაფრის საკუთარის, თუნდ სამაგის სი-

ყვარული და ყველაფრის სხვისის—თუნდ მალალი თვისების—სიძულვილი მიუღებელია,—საჭიროა ფრიად საღი დაფასება და პატივი საკუთარი ღირსების და მისი დაცვა, მაზედ დაყრნდობა და თვითმყოფობა. ქართველს ეშინია თავის წარსულის, რომლის მეტად ბუნდოვანი წარმოდგგენა აქვს — იქ არც რასმე ხედავს, ცარიელ ადგილად ეჩვენება. ეშინია თავის ერის რწმენების, ზნეების, ტრადიციების — დაძველებულად, არამოდერნულად, არაევროპიულად სახავს. ეშინია ქართული შემოქმედების—სიტყვით ეგებ კიდეც შეაქოს, ნამეტურ თუ გაშლილ სუფრას დაყურებს, მაგრამ გულში ნდობა არა აქვს. ურწმუნოა ქართული ენისათვისაც, უჭირს თავის აზრის ქართულად გამოთქმა და ამას ქართულის უვარგისობას აბრალებს, მაშინ, როდესაც დიდი ლინგვისტი ნ. მარი ამბობს: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც კი დედა-მიწის რა გინდ ენაზე გამოითქმის“. და კიდევ იტყოდა ეს მეცნიერი: „ქართველების კულტურულ საუნჯეში მოინახება ერთი ძვირფასი სპეკელი, რომელიც მარტო, თავისთავად მეცნიერებაში ანიჭებს მათ უპირველეს ადგილთაგანს; მე ვამბობ ქართველების არსების უდიდეს განძზე — ქართულ ენაზე“. და კიდევ მისივე სიტყვებით: „რომ ძველ საქართველოს წინსვლა უდღეურად არ შეწყვეტილიყო, დიდი ხანია, ქართული ენა ერთი მსოფლიო ენათაგანი იქნებოდა “. ასეთი ავტორიტეტული შეფასება ქართული ენის ღირსების, უცხოა დღევანდელ ქართველისთვის და ის ყოველ უბრალო შემთხვევას სარგებლობს, რომ ქართულის ნაცვლად სხვა, უცხო ენაზე ილაპარაკოს და ქართველი დედები აი საფრანგეთში არ ეტყვიან თავის ნორჩს შვილებს, რომ უქართულოდ ქართველი ვერ იქნება, და პირიქით ხელსაც უწყობენ, რომ მათმა შვილებმა დედა ენა დაივიწყონ...

ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს წარმოსდგება ჩვენი წარსულის, ჩვენი კულტურის, ჩვენი ვინაობის და რაობის სრული უცოდინარობისაგან. რომ ჩვენ ამის ცოდნა

და ღრმა შეგნება გვქონდეს, ჩვენ გვექნებოდა საკუთარი თავის მეტი რწმენა, იმედი და ჩვენი მოქმედება იქნებოდა უფრო სწორი და ენერგიული. ვიდრე არ ვიპოვნით ჩვენს თავს, არ შეეცნობთ სრულიად ჩვენს არსებას, არ ვიგრძნობთ ღრმად ჩვენს მეობას, — ყოველი ჩვენი პოლიტიკა ყოველთვის იქნება უძლური, გაუბედავი, ხერხემალ გატეხილი.

მე მინდოდა, ჩემი მოხსენებით მომეცა თქვენთვის საშუალება, ჩაიხედოთ ქართველთა შორეულ და შორეულ ამბებში. ჩვენ არა ვართ რალაც გარიყული ერი, ობოლი ერი, ერი ლატაკი, არარის მქონე, არაფრის შემქნელი. არა, არა. ქართველი ერი გადაბმულია კაცობრიობის ისტორიის საუკეთესო ამბებთან. პატარა ვართ, მაგრამ მარტო არა. ჩვენთანაა ის დიდი ცივილიზაცია, რომელიც შეჰქმნეს ჩვენმა წინაპრებმა და მათ მონათესავე ტომებმა და გადმოსცეს მთელს კაცობრიობას. ეს ცივილიზაცია გარედან მობერილი არაა ჩვენთვის. შიგაა ჩვენი გული, ჩვენი სისხლი,მკლავი, სიცოცხლე. ჩვენი მოდგმა არაა ისტორიის გარედ, იგი ისტორიის ცენტრშია. ბრძნული თქმაა:„თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“-ო. ხოლო ამის მთქმელს ის კი არ უთქვამს, რომ ჯერ, გვარიშვილობა, ჩამომავლობა არ ვარგა. არა, გვარიშვილობა თავად ძვირფასია, მაგრამ მას კარგად გამოყენებაც უნდა. გვარიშვილობა შეიძლება წაირყვნას, გადაგვარდეს.

როგორ შეხვდა საქართველო ძველ წინაპართა გადმოცემულ გვარიშვილობას? დღეს ჩვენ ვილაპარაკეთ ქართველთა წინაპრებზე. ხოლო საქართველო იწყება კავკასიაში მესამე - მეოთხე ს.ს. ქრ. წინ. მისი ისტორია შეიძლება სამ მთავარ პერიოდად გავყოთ: საქართველო მე-13 ს. დასაწყისამდე, საქართველო მერმენდელი მე-18 საუკ. ბოლომდის და მესამე აქედან დღემდის. პირველი საქართველო პირნათლად გაუძღვა წინააზიის წინაპართა ნაანდერძევს, „ის მოწინავე ერთაგანი იყო“ (ნ. მარი). თავი არ შეურცხვენია მეორესაც, მიუხედავად მისი ტრა-

გიული ბედისა. მესამე? ეს ჩვენი დროა, იგი დულილ-
შია, ქმნაში, დადგინების პროცესშია; ჩვენ თვითონ ვარ-
მოქმედნი აქ. ამ დროის სიტყვა და საქმე ჯერ წინაა, სა-
თქმელია და საქმნელი. რას იტყვის ჩვენი დრო, ეს და-
მოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად შეცნობი-
ლი იქნება მძიმე ტვირთი, რომელიც აწევს ამ დროს, და
რამდენად პასუხისმგებლობის სრული შეგნება ექნება
დღევანდელ ქართველობას. მათ წინაშე უდიდესი ამო-
ცანაა, შვიდი ათასი წლის ეპილოგი: გაქრებიან საბო-
ლოოდ სახელგანთქმულ ხალხთა უკანასკნელი ნაშთები,
თუ ვანახლებულნი, ახალ ძალლონით აღჭურვილნი, თა-
ვისუფლებით განმტკიცებულნი უზრუნველყოფენ თავის
არსებობას და მოევლინებიან კაცობრიობას, როგორც
საუკეთესო წევრთაგანი ადამიანთა და ერთა ურთიერ-
თობაში.

მინდა ჩემი დღევანდელი მოხსენება ერთი დიდი სა-
ოცნებო სურვილის გამოთქმით დავამთავრო. საოცნებო
თქვა, მაგრამ ვინ იცის, ეგებ ცოტა უკეთეს პირობებში,
ვიდრე დღეს გვაქვს, კარგის გამძღოლების და დიდი მო-
წადინების შემწეობით, მისი განხორციელება შესაძლე-
ბელი გახდეს. მე მინდა ვილაპარაკო კავკასიელების (რა-
სულად წმინდა კავკასიელების) შეერთებისათვის, შეკა-
ვშირებისათვის ერთ კონფედერაციულ სახელმწიფოდ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ყველას ეგონა, და-
დგა დრო ეროვნულ თავისუფლებისა დიდებისათვის და
პატარებისათვის. ეს არ გამართლდა. დღეს დიდი ერების
ტალღები წალეკვას ემუქრებიან მცირე ერებს. თუ ძველ
ნაციათა ლიგაშიც მცირე ერები დიდ პატივცემაში არ
იყვნენ, ლაპარაკის ნება მაინც ეძლევოდათ ხანდახან.
ახალ საერთაშორისო კრებულში ესეც აღარ შეეძლებათ
—ისინი განწირულნი არიან. კაცობრიობა რომ ისე გა-
დარეული არ იყოს, ისე მოკლებული გონიერებას, ელე-
მენტარულ სამართლიანობას, ისე გამსჭვალული, დაბრ-
მავებული პირუტყვულ ეგოიზმით, როგორც ამას დღეს
ვხედავთ, იგი იზრუნებდა, რომ ყოველ ცოცხალ ერს,

განსაკუთრებით ისტორიულ ერს, მიეცეს სრული შესაძლებლობა თვითარსებობის და თავისუფალი განვითარების. განა სამარცხვინო არაა, რომ დღემდის ასე დაბრკოლებულია ებრაელთა ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა პალესტინაში?

განა ყველა განათლებული ხალხი მონდომებული არ უნდა იყოს, რომ ხელუხლებელი, დაცული იქნეს კავკასიელ ერთა თავისუფალი არსებობა, რომელნიც არიან ცოცხალი მოწმენი და დოკუმენტები გარდასრულ დიდ ცივილიზაციათა? დღეს წესია ყველგან ძველ ანაგებთა, ძეგლების, ნანგრევების, ქვების დაცვა და შენახვა, უბრალო ნატეხსაც და კენჭსაც კი უფრთხილდებიან და დიდ ველურებად ითვლება, თუ ვინმე უპატივცემულოდ ეპყრობა რომელსამე ისტორიულ - არქეოლოგიურ ნაშთს. და განა მეტი ყურადღება და პატივისცემა არ უნდა გვქონდეს ისეთი ცოცხალი ძეგლებისა, როგორიც არიან ისტორიული ხალხები? კავკასია—ეს ხომ 6-7 ათასი წლის ადამიანური მონუმენტია და როგორიც არ უნდა იყოს ცივილიზაცია, რომლის ნაშთი და სახე ის არის, არ უნდა იწვევდეს საყოველთაო ინტერესს, თანაგრძნობას, ხელისშეწყობას, მფარველობას, დახმარებას?.. ესეც ხომ სათქმელია: კავკასიელები და კერძოდ ქართველები, ადამიანთა ულამაზესი ტიპები არიან. ამის შესახებ ბევრი დაწერილა, იცით. მოვიტან აქ შემთხვევით რეკლიუს გეოგრაფიიდან შემდეგ სიტყვებს: „ქვემო სამეგრელოში და მთის კალთებზე მკვიდრი ყველა ლამაზია. საკმარისია გაიაროთ ზუგდიდში, ბაზრობის დროს ან სხვა პატარა ქალაქში, რათა დარწმუნდეთ, რომ არსად სხვაგან არ მოიპოვება ისეთი მომხიბლავი ტიპი კაცთა მოდგმის, როგორც აქ“. მართალია, დღეს კავკასიური მოდგმაც შერყვნილია სხვა და სხვა შერევით, მაგრამ მისი სილამაზე ახლაც უეჭვოა. და ეს გარემოებაც უნდა უკარნახებდეს ყველას ამ მოდგმის შენახვას. ზოგიერთი იშვიათი ჯიშის ცხოველის დაცვისთვის ზრუნავენ, და ჩვენ ხომ ადამიანები ვართ!..

ზედმეტია გოდება. ზედმეტია ჩივილი. ამის გამგონი, სიმართლის და სამართლის მჭნელი დღეს დაქანებულ და არეულ-დარეულ ქვეყანაზე არავინ მოსჩანს. ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეს და უშველოთ ჩვენს თავს, როგორც შეგვიძლია.

კავკასიელები — იაფეთიანები, თუ ბასკებზე არ ვილაპარაკებთ, დღეს ვართ: ქართველები, აფხაზ-ჩერქეზები (დასავლეთი ჩრდილო კავკასია) და ლეკ-ჩაჩნები (აღმოსავლეთი ჩრდილო კავკასია). ქართველების მდგომარეობა თავდაცვის მხრით, რასაკვირველია, ყველას უკეთესია. ქართველი ერი ძველი ისტორიული ერია, წარმოადგენს მჭიდროდ შეკავშირებულს, შედუღებულს ერთ მთლიან ერთეულს ყველა თავის შტოით, მას აქვს შორეულ დროიდან მდიდარი მწერლობა, ფრიად განვითარებული ერთი ენა, აქვს ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი გამოცდილება და დღეს კულტურულად არა უკანასკნელ რიგებშია. სულ სხვაა მდგომარეობა ჩვენი ჩრდილო მოძმეების: ისინი დანაწილებულნი არიან რამდენსამე ერთეულად, აქვთ ოცამდე თუ მეტი სხვა და სხვა ენა, არ მოეპოვებათ მწერლობა, არ ჰქონიათ სახელმწიფოებრივი ცხოვრება—ყველაფერი ეს ასუსტებს მათ ბრძოლას მოწოლილ ძალის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში ჩვენც და მათაც, ორთავეს საფრთხე მოგველის, და ეს აუცილებლად მოითხოვს ჩვენს შეერთებას, რომ ერთმანეთის დახმარებით უკეთ გაუმკლავდეთ მტრებს. დიდი ვალდებულება გვაწევს—ეს არაა მარტო ჩვენი ეროვნული სახეობის დაცვა, ეს არის გადარჩენა იმ დიდ ეთნურ მოდგმის, რომლის დღევანდელი ნაშთი ვართ ჩვენ. ჩვენს მხრებზე მრავალ და მრავალ საუკუნის ცხოვრების ტვირთია და უნდა კარგად ვიგრძნოთ სიმძიმე პასუხისმგებლობის, ნაანდერძევის დასაცავად.

კავკასიელთა (იაფეთიანთა) გაერთიანებას ერთ კონფედერაციულ სახელმწიფოდ, ბუნებრივია, უნდა უხელმძღვანელონ ქართველებმა, როგორც უფრო მომზადებულებმა კავკასიელთა შორის. მხოლოდ ეს ხელმძღვანე-

ლობა უნდა იქნეს მარტოოდენ ხელმძღვანელობა უფროს ძმების. კონფედერაცია უნდა მოეწყოს ისეთნაირად, რომ რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს თავისუფლება, თვითმყოფობა და თავისებურობა თვითეული ხალხისა, უნდა დამყარდეს სრული თანასწორობა და ერთმეორის დახმარება კავკასიურ ეთნურ სახეობის დასაცავად. რასულ, კულტურულ და პოლიტიკურ ერთობამ ამავე დროს უნდა გამონახოს და შექმნას საფუძვლები ეკონომიური თანამშრომლობის. მოეწყობა მუზეუმები და გამოფენები, ეკსკურსიები ურთი-ერთის გასაცნობად, დასაახლოვებლად, საერთო კავკასიურ შეგნების გასაძლიერებლად.

ვფიქრობ, რომ მრავალენიანობისა გამო, რომელიც სუფევს ჩრდილო კავკასიაში, იქაურ მკვიდრთა ერთმანეთთან ურთიერთობის გასაადვილებლად და აგრეედვე მათი და ქართველების ურთიერთობისათვის საჭირო იქნება, ჩრდილოკავკასიელებმა აირჩიონ ერთი რომელიმე ან ორი ჩრდილოკავკასიური ენა, როგორც საერომთაშორისო ენა ერთმანეთში და მაშინ ეს ენა თუ ორი ენა და ქართული ენა იქნება სახელმწიფო ენები კონფედერაციაში. ამასთან დაკავშირებით ყოველი ქართველი ბავშისათვის სავალდებულო უნდა იყოს საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში შესწავლა ერთ-ერთი ჩრდ. კავკასიურ ენისა და ასევე სავალდებულო უნდა იქმნეს ქართულის შესწავლა ყველა ჩრდილოკავკასიელისათვის. სასურველია რომ ყველა კავკასიელებს ერთი ანბანი ჰქონდეთ, ეს გაადვილებდა ერთმანეთის ენის შესწავლას.

ქართველებმა პირველებმა უნდა მივცეთ მაგალითი და საბუთი ჩვენს მოძმეებს, რომ ჩვენი მისწრაფება კავკასიურ ერთობისათვის გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ წმინდა კავკასიურ შეგნებით და ინტერესით, საერთო კავკასიურ თავდაცვის მიზნით. უნდა მივცეთ ჩვენს მოძმეებს სრული რწმენა იმის, რომ ჩვენსავით არავინ დაიცავს მათ, რომ ჩვენთან ყოფნა საუკეთესო გარანტიაა

მათი თვითარსებობის. სულიერი ნდობის ატმოსფერის შექმნა პირველია საქმის წარმატებისათვის...

ალარ გავაგრძელებ. დეტალები არაა საჭირო, ეს ადვილად შემუშავდება, თუ დადა აზრი, პრინციპი იქმნა მიღებული. მართალია, ქართველ - სომეხ - აზერბაიჯანელ - ჩრდილო კავკასიელთა პოლიტიკურ თანამშრომლობის ახლო წარსულმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ჩრდილო მოძმეები უფრო აზერბაიჯანელებთან იყვნენ დაახლოებულნი. ალბად ეს გამოწვეული იყო საერთო მუსულმანური ტრადიციებით. ეს დროებითი წარმავალი მოვლენა იყო. ბოლო დროის გამოცდილება, საკუთარი თავის მეტი შეგნება, ერთმანეთის მეტი გაცნობა, ჩვენი ხალხების მდგომარეობა, საერთაშორისო ამბები — სულ სხვა ხაზით წარმართავენ ჩვენს მისწრაფებას და პოლიტიკას. და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი იდეა, ეთნურ-კავკასიურ პოლიტიკურ ერთობისა უფრო და უფრო სატრფიალო გახდება იაფეთიან - კავკასიელებისთვის და დღეს იქნება თუ ხვალ, იგი ოცნების სფეროდან გადმოვა და მიიღებს პრაქტიკულ საქმის სახეს.

ჩემი იდეა, მართალია, ოცნებაა — ვიმეორებ ამას — მაგრამ მას ერთი დიდი თვისება აქვს — აუცილებლად საჭიროა. ვინც გულდასმით მოისმინა, რაც ვილაპარაკეთ, ვინც ჩაუკვირდება მოსმენილ ამბებს, ვინც განიცდის და იგრძნობს მათ, იმედია, დამეთანხმება, რომ ჩემი გეგმა საუკეთესო გზაა კავკასიელთა ეროვნულ არსებობის უზრუნველსაყოფელად, კერძოდ საქართველოს მტკიცე მომავლისათვის.

და ეს ხომ უკეთესი საშუალებაცაა, ღირსეული პატივი მივაგოთ სახელოვან წინაპრების ხსოვნას.

1945. 12/19.

Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.